

აღმოსავლეთ-დასავლეთის ქალთა ქსელი
გენდერული მონიტორინგის პროექტი



The Network of East-West Women - Polska/NEWW
links women across national and regional boundaries to share resources, knowledge and skills

ევროკავშირის განვითარების პოლიტიკის გენდერული ანალიზი

საქართველოს ანგარიში

| გამოცემა

თბილისი
2007



მომზადებულია ქალთა საინფორმაციო ცენტრში

ავტორები
ელენე რუსეცკი
ალექსანდრა დელემენტუკი

რედაქტორი
თამარ გოგოლაძე

გარეკანის დიზაინი
თეონა ღვინჯილია

დაკაბადონება
პაატა მამფორია



დაიბეჭდა „ქალთა პოლიგრაფიულ სერვისში“

მისამართი: წინამდლობრიშვილის ქ. №40
საქართველო, თბილისი, 0102
ტელ./ფაქსი: (995 32) 942 699
ელ-ფოსტა: wps@ginsc.net

ISBN 978-9941-0-0167-3

შინაარსი

შესავალი 4

ნაწილი 1

აოლიტიკური, იურიდიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობები ქალთა პოლიტიკის თვალსაზრისით	6
1.1. ქალთა უფლებები კანონმდებლობაში	6
1.2. გენდერული თანასწორობისა და თანასწორობის პოლიტიკისთვის შექმნილი სახელმწიფო ორგანოები	28
1.3. ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში	29
1.4. ქალების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა	30

ნაწილი 2

ევროგაერთიანების განვითარების დახმარების გენდერული პროცესტივა	32
2.1. ევროგაერთიანების განვითარების მიმდინარე პროგრამები	32
2.2. ევროგაერთიანების წევრები და განვითარების დახმარება	37
2.3. განვითარების სხვა პროგრამები და განვითარების დახმარების წყაროები	38
2.4. არასამთავრობო ორგანიზაციები და განვითარების დახმარება	39

ნაწილი 3

ახალი ფინანსური პროცესტივები 2007-2013 წლებისთვის	41
3.1. ევროგაერთიანების მიერ დაგეგმილი განვითარების პროგრამები (2007-2013) და მოსალოდნელი ცვლილებები	41
3.2. სხვა დაგეგმილი განვითარების პროგრამები და განვითარების დახმარების წყაროები	43

ნაწილი 4

რეკომენდაციები ევროგაერთიანების პოლიტიკის, პარლამენტისა და ევროგაერთიანების წევრი შვეიცარიელისთვის	45
---	----

მითითებული ლიტერატურა	48
---------------------------------	----

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სხვა ქვეყნებთან ერთად განიცადა მკვეთრი ეკონომიკური უკუსვლა, ხანგრძლივი რეგიონალური კონფლიქტები, რის შედეგადაც ქვეყანაში გაჩნდნენ დიდი რაოდენობით იძულებით გადაადგილებული პირები, დაწყო სოციალური დაცვის სისტემების რღვევა და გამანადგურებელი სტიქიური უბედურებები. ამ გარემოებების შედეგად ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა სიღატაკე და სოციალური განვითარების მაჩვენებლები. სიღატაკემ ძლიერი ზემოქმედება მოახდინა ქალებზე და მრავალრიცხოვანი დაბრკოლებები და რთული ამოცანები წარმოშვა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა უფლებების დაცვის გზაზე.

მიზნები 2015 წლისთვის ითვალისწინებს მთლიანი მოსახლეობის 20-25% და 4% მაჩვენებლებს, შესაბამისად.¹ არსებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ სიღარიბის დაძლევის ამჟამად არსებული ტენდენცია არასწორი მიმართულებით ვითარდება და სიღარიბეში მცხოვრებთა პროცენტული წილი იზრდება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ძალზე მძიმე პირობებში ცხოვრობს. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სტანდარტების მიხედვით საქართველოში კვების დონე რისკის ზონაშია. ღარიბთა დაუბალანსებელი კვება მოსახლეობის საერთო ჯანმრთელობის გაუარესების და ადამიანური რესურსების განადგურების საფრთხეს ქმნის. იძულებით გადაადგილებული პირები საზოგადოებისგან იზოლირებული არიან, მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი თავისუფალ სამუშაო ადგილებზე, ცხოვრობენ

არაადექვატურ პირობებში და არ იღებენ საკმარის სოციალურ დახმარებას.²

საქართველოში თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს შენების პროცესი მიმდინარეობს. ეს ხანგრძლივი ძალისხმევა ერთნაირად მოითხოვს მტკიცე მხარდაჭერას როგორც მთავრობის, ასევე ფართო საზოგადოების მხრიდან. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შესაძლებელი გახდა ახალი გარემოს შექმნა ეროვნული ერთიანობისთვის. მთავრობამ იკისრა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის ჩამოყალიბება თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ.

იგივე მიზანია გათვალისწინებული სახელმწიფოს 2004-2009 წწ. პროგრამით, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს გაძლიერებასა და გაერთიანებას ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროპასთან ინტეგრაციის გზით.

ახალ ეროვნულ სტრატეგიაში გენდერული მიდგომის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოების ყველა ფენაში გენდერული თანასწორობის მიღწევასთან დაკავშირებით ყველა ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას. გენდერული და ქალთა პრობლემების მოგვარებისთვის საჭიროა სახელმწიფოს მიერ სპეციალური სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. ეს გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს დონეზე ეფექტური ინსტიტუციონალური ბაზის არსებობით.

კაგასიური საზოგადოება, თავისი ტრადიციულობიდან გამომდინარე, წარმოადგენს ყველა დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში ქალთა

სოციალური და პოლიტიკური ჩართვის რთულ და ზოგჯერ მტკიცნეული პროცესის მაგალითს. ამასობაში, საზოგადოების არსებითი მდგომარეობა მითხვებს რესურსების მობილიზაციას წინააღმდეგობების გადასასალახად და საზოგადოების განვითარების ყველაზე ეფექტური გზის მოსაძებნად.

შესაბამისად, მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად რამდენიმე საკითხი, რომლებიც გენდერულ თანასწორობასა და ეკონომიკურ განვითარებაში მონაწილეობას შეეხება, კერ კიდევ არაა სათანადოდ მოგვარებული. მთავრობას ზოგჯერ არ გააჩნია სათანადო რესურსები, ინფორმაცია და კვალიფიკაცია, ქალთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მოსაგარებლად. მეტიც, რეგიონის ქვეყნებს ახალი რთული ამოცანები აქვთ გადასაჭრელი ქალთა უფლებების თვალსაზრისით, მათ შორის ისეთი საკითხები, როგორებიცაა ტრეფიკინგი, იძულებით

გადაადგილებულ პირთა უფლებები და მშვიდობიანი ინიციატივები, რომლებიც რეგიონალურ თანამშრომლობას საჭიროებს.

გენდერული თანასწორობა ადამიანური კაპიტალის თვალსაზრისით

საქართველომ მიაღწია ქალთა პარიტეტს საშუალო განათლების სფეროში (იხ. ცხრილი 1). თუმცა, ადრეული ქორწინება განაპირობებს გოგონების მიერ სკოლის უფრო დაბალ საფეხურზე დამთავრებას. კანდაცვის მაჩვენებლები უმჯობესდება, თუმცა, წარმოიქმნება ახალი რთული პრობლემები, რომლებიც მოიცავს ისეთი გადამდები დავადებების სწრაფ გავრცელებას, როგორებიცაა ტუბერკულოზი, ადამიანის იმუნდეფიციტის ვირუსი და შიდსი.³

ცხრილი 1. ადამიანური კაპიტალის განვითარების მაჩვენებლები: საქართველო

ადამიანური კაპიტალის განვითარება საქართველოში	
განათლების ხელმისაწვდომობა	
საშუალო სკოლაში შესული გოგონებისა და ბიჭების თანაფარდობა (2002 წ.)	1.01
სასწავლებლებში გოგონებისა და ბიჭების თანაფარდობის წლიური ზრდის მაჩვენებელი (1999-2002 წწ.)	0.18
დაწყებითი სკოლის დამთავრებისას სხვაობა გოგონებსა და ბიჭებს შორის (2003 წ.)	0.0
რეპროდუქციული და კანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა	
კანდაცვის კვალიფიცირებული პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების პროცენტული წილი (2000 წ.)	96.4
კონტრაცეპტივების გავრცელების მაჩვენებელი (2000 წ.)	40.5
ახალგაზრდების (15-19 წწ.) მშობიარობის მაჩვენებელი (2000-05 წწ.)	33.2

წყარო: მსოფლიო ბანკი (2005 წ.).

ნ ა ნ ი ლ ი 1

პოლიტიკური, იურიდიკული და სოციალურ-ეკონომიკური პირობები ქალთა პოლიტიკის თვალსაზრისით

1.1. ქალთა უფლებები კანონმდებლობაში

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ნათქვამია: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“ სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი ითვალისწინებს 12 თვის ვადით შრომა-გასწორებით სამუშაოებს, ან 24 თვით პატიმრობას ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევისთვის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური ჯგუფის, სოციალური კუთვნილების, დაბადების ადგილის ან გარე-

მოებების თუ ქონებრივი მდგომარეობის გამო. ანალოგიური დარღვევები, რომლებიც ჩადენილია თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ან რომლებსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, ისჭება ჭარიმით, ან სამი წლით თავისუფლების აღკვეთით, ან სამი წლის ან უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ოფიციალური თანამდებობის ან კონკრეტული სამსახურებრივი თანამდებობის დაკავების აკრძალვით.

საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის (CEDAW) რატიფიკაცია 1994 წ. 22 სექტემბერს და მთავრობამ წარმოადგინა მისი განხორციელების შესახებ პირველი ანგარიში 1999 წელს.

ცხრილი 2. სამართლებრივი ბაზა (მოამზადა ელენე რუსეციმ)

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
საკონსტიტუციო სამართალი		
1. თანასწორობა კანონის წინაშე	<p>კონსტიტუციის მე-14 მუხლი. ყველა ადამიანი თავისუფალია დაბადებით და თანასწორია კანონის წინაშე, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური გვუფის, სოციალური კუთხითილების, დაბადების ადგილის ან გარემოებების თუ ქონებრივი მდგომარეობის გამო. ანალოგიური დარღვევები, რომლებიც ჩადენილია თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ან რომლებსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, ისება გარიმით, ან სამი წლით თავისუფლების აღკვეთით, ან სამი წლის ან უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იფიციალური თანამდებობის ან კონკრეტული სამსახურებრივი თანამდებობის დაკავების აკრძალვით.</p> <p>თუმცა, არ არსებობს სპეციალური კანონები, რომლებიც კრძალავს ქალთა დისკრიმინაციას გენდერული ან ოჯახური მდგომარეობის საფუძველზე.</p> <p>საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთო კონვენციის (CEDAW) რატიფიკაცია 1994 წ. 22 სექტემბერს და მთავრობამ წარმოადგინა მისი განხორციელების შესახებ პირველი ანგარიში 1999 წელს.</p> <p>მართალია სისხლის სამართლის კოდექსით ისება დისკრიმინაცია, საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მასში არ არის კონკრეტული დებულებები გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაციის დარღვევების შესახებ.</p> <p>საზოგადოდ საქართველოს კანონმდებლობა საკმაოდ ფორმალურია უფლებათა თანასწორობასთან მიმართებაში. ხშირად ეს კანონები ხორციელდება ნაწილობრივ. ძირითადი დაბრკოლებაა ტრადიციული მიდგომა ქალების მიმართ. ხელისუფლება ცდილობს ქალთა პრობლემები დედობის პრობლემით შემოფარგლოს (მაგალითად, ქალთა საერთაშორისო დღე დედის დღით შეიცვალა).</p> <p>არსებობს ქალთა დისკრიმინაციის პრობლემის იგნორების და ქალთა პრობლემების უარყოფის ძლიერი ტენდენცია საქართველოში. მთავრობის მიერ გენდერული პრობლემების გაგება ტრადიციულ ჩარჩოებში მოქცეული</p>	<p>სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი ითვალისწინებს 12 თვის ვადით შრომა-გასწორებით სამუშაოებს ან 24 თვის ბატიმრობას ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევისთვის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური გვუფის, სოციალური კუთხითილების, დაბადების ადგილის ან გარემოებების თუ ქონებრივი მდგომარეობის გამო. ანალოგიური დარღვევები, რომლებიც ჩადენილია თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ან რომლებსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, ისება გარიმით, ან სამი წლით თავისუფლების აღკვეთით, ან სამი წლის ან უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იფიციალური თანამდებობის ან კონკრეტული სამსახურებრივი თანამდებობის დაკავების აკრძალვით.</p> <p>თუმცა, არ არსებობს სპეციალური კანონები, რომლებიც კრძალავს ქალთა დისკრიმინაციას გენდერული ან ოჯახური მდგომარეობის საფუძველზე.</p> <p>საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთო კონვენციის (CEDAW) რატიფიკაცია 1994 წ. 22 სექტემბერს და მთავრობამ წარმოადგინა მისი განხორციელების შესახებ პირველი ანგარიში 1999 წელს.</p> <p>მართალია სისხლის სამართლის კოდექსით ისება დისკრიმინაცია, საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მასში არ არის კონკრეტული დებულებები გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაციის დარღვევების შესახებ.</p> <p>საზოგადოდ საქართველოს კანონმდებლობა საკმაოდ ფორმალურია უფლებათა თანასწორობასთან მიმართებაში. ხშირად ეს კანონები ხორციელდება ნაწილობრივ. ძირითადი დაბრკოლებაა ტრადიციული მიდგომა ქალების მიმართ. ხელისუფლება ცდილობს ქალთა პრობლემები დედობის პრობლემით შემოფარგლოს (მაგალითად, ქალთა საერთაშორისო დღე დედის დღით შეიცვალა).</p> <p>არსებობს ქალთა დისკრიმინაციის პრობლემის იგნორების და ქალთა პრობლემების უარყოფის ძლიერი ტენდენცია საქართველოში. მთავრობის მიერ გენდერული პრობლემების გაგება ტრადიციულ ჩარჩოებში მოქცეული</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
		<p>რჩება. სახელმწიფოს მხრიდან გენდერულად მგრძნობიარე პროგრამების მიღების ინცივატივა ძალზე მცირება.</p> <p>როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არსებობს კანონები და პოლიტიკური დოკუმენტები, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას შეეხება, ან რომლებიც არეგულირებს მუშაობას ოფიციალურ თუ კერძო ორგანიზაციებში ან საზოგადოებრივ თუ ოჯახურ სფეროებში.</p> <p>არ არსებობს ქალების წინააღმდეგ გენდერული ხასიათის ძალადობის განსაზღვრა. სასამართლოში ძალზე ცოტაა ქალთა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელები. საქართველოში არაა განვითარებული საშუალებები, რომელთა დახმარებითაც ქალები შეძლებანენ დაეცვათ საკუთარი უფლებები. ბოლო წლებში კონვენციის განხორციელებისა და ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სტატიატიკა და მონიტორინგი საქართველოში სუსტად ხორციელდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია სახელმწიფო სტრუქტურებში (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში) ისეთი სპეციალური გუჯის არ არსებობა, რომელიც შეაგროვებს მონაცემებს ქალების შესახებ.</p>
2. განათლების უფლება	<p>მუხლი 35. საქართველოს კონსტიტუცია</p> <p>1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.</p> <p>2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.</p> <p>3. სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულია. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება (23.07.2003, N2597).</p>	<p>არ არსებობს კანონის დებულებები, რომლებიც განაპირობებს ქალების დისკრიმინაციას განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.</p> <p>საქართველოში საშუალო განათლების სისტემა შედგება სამი დონისგან: დაწყებითი დონე (1-4 კლასები), საშუალო დონე (5-9 კლასები) და ზედა დონე (10-12 კლასები). პირველ ორ დონეზე განათლება უფასოა, ხოლო მესამე დონეზე გადასახადი საშუალოდ 10-15 ლარს შეადგენს, სკოლის სასწავლო პროგრამის მიხედვით. არაა შენიშვნული განსხვავებები იმ ბიჭებისა და გოგონების რაოდენობაში, რომლებიც სკოლიდან გამოდიან, თუმცა, ამასთან დაკავშირებული სტატიატიკა არ არსებობს.</p> <p>უმაღლეს სასწავლებლებში განათლება უფასოა. სოფლის მოსახლეობისთვის განათლების მესამე დონე ფასიანია, მაგრამ მშობლების განაცხადის საფუძველზე გადასახადი შეიძლება შემცირდეს ან გაუქმდეს.</p> <p>ერთი შეხედვით განათლების შესაძლებლობები ერთნაირია გოგონებისა და ბიჭებისთვის. ამავე დროს, კერ არ ჩატარებულა სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების გენდერული ანალიზი და არ შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო განათლება მთლიანად თავისუფალია გენდერული სტრუქტიულებისგან. განათლებაში უთანასწორობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად და ანკლა-</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში, სადაც მუსულმანები ცხოვრობენ, მშობლებს გამოჰყავთ გოგონები სკოლიდან,</p>	<p>ვებში. რადგანაც მათი აზრით გოგონები სახლში უნდა იყვნენ და მოემზადონ ოქაური ცხოვრებისთვის. ამიტომ, სოფლად, თითქმის ყოველთვის, სკოლას ამთავრებენ მხოლოდ ბიჭები, ხოლო გოგონები მხოლოდ 6-7 წელიწადს სწავლობენ. რაც შეეხება საუნივერსიტეტო განათლებას, 2005 წლის მონაცემებით, სტუდენტებს შორის გოგონების რაოდენობა ოდნავ აღმატება ბიჭების რაოდენობას (51.2% და 48.8%, შესაბამისად). 2004 წლს კურსდამთავრებული ქალები შეადგენდნენ 65%-ს, ხოლო მამაკაცები – 35%-ს. მოსახლეობის 99% წერა-კითხვის მცოდნეა. მათგან წერა-კითხვის ცოდნა მამაკაცებს შორის შეადგენს 100%-ს, ხოლო ქალებს შორის – 98%-ს.</p> <p>განათლების მაჩვენებლები ერთნაირია ქალებისა და მამაკაცებისთვის. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბოლო დროს გაიზარდა საოჯახო ხარჯები ბიჭების განათლებაზე. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აშკარაა მაღალმთან ადგილებში, არა-ქართულ მოსახლეობასა და დიდ ოქანებში.</p>
3. განმრთელობის დაცვის უფლება	<p>მუხლი 37. საქართველოს კონსტიტუცია</p> <p>1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს განმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.</p> <p>2. სახელმწიფო აკონტროლებს განმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით გაჭრობას.</p>	<p>საქართველოს 1997 წ. 10 დეკემბრის კანონი შანდაცვის შესახებ</p> <p>4. განმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში; 2. განმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ხელშეუვალობა, პაციენტის პატივის, ღირსების და მისი ავტონომიის აღიარება. <p>5. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული განმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით. აღნიშნული განხორციელდება სათანადო სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტის მიერ, განურჩევლად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.</p> <p>6. (1) არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
		<p>წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო.</p> <p>7. საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მისთვის გასაგები ფორმით მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია, აგრეთვე მოიძიოს მეორე აზრი საკუთარი ქანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ 41-ე მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში.</p> <p>საქართველოში ქანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა საზოგადოდ ერთნაირია ქალებისა და მამაკაცებისთვის. სტატისტიკურად დაფიქსირებულია, რომ ქალები 5-6 წლით მეტს ცოცხლობენ ვიდრე მამაკაცები. ბოლო წლებში ეკონომიკური სირთულეების გამო ქანდაცვის დაწესებულებები ნაკლებად ხელმისაწვდომია ფართო მოსახლეობისათვის და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები მკვეთრად გაიზარდა.</p>
4. მუშაობის უფლება	<p>მუხლი 30. საქართველოს კონსტიტუცია</p> <p>1. შრომა თავისუფალია.</p> <p>2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონიპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.</p> <p>3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.</p> <p>4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ქანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.</p>	<p>ქალთა დასაქმებისა და სოციალური დაცვის პრინციპები საქართველოში ძალზე მწვავეა. ბოლო ათი წლის მანძილზე ქალთა დასაქმების პრიცენტული წილი გაიზარდა, თუმცა, ამავე დროს, დასაქმების ადგილები მკვეთრად შემცირდა. შრომისუნარიანი ქალების დასაქმების მაჩვენებელი 80%-ზე მეტი იყო. ქალთა დასაქმების სფეროს შეკვეცის შემდეგ მომუშავე ქალთა რაოდენობა დაახლოებით 40%-მდე შემცირდა. ამავე დროს, ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში მომუშავე „საიდუმლოდ“ და არასრულად დასაქმებულ ქალთა რიცხვი გაიზარდა. ბევრ შემთხვევაში ქალ თანამშრომლებს იღებენ არალეგალურად. ამის შედეგად, მომუშავებს აღარ იცავს არაინაირი კანონი.</p> <p>ქალების მიერ სახლში შესრულებული სამუშაო არ ითვლება შრომითი ძალების მიერ შესრულებულ სამუშაოდ და ამას არ ითვალისწინებს არც სტატისტიკა და არც საერთოდ საზოგადოება. ქალები სამჭერ მეტ სამუშაოს ასეულებენ ოჯახში, ვიდრე მამაკაცები.</p> <p>საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი ოფიციალური თანამდებობა, თუ ის აკმაყოფილებს მიღებულ მოთხოვნებს. რეალურად კი არსებობს კულტურული დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს დაიკავონ მაღალი თანამდებობები. ძალზე ბევრია დისკრიმინაციული განცხადებები. მთავრობას არ გააჩნია მაკორექტირებელი მიდგომა ამ პრინციპების მიმართ.</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>მუხლი 32. სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.</p>	
5. არჩევნებში მონაწილეობის უფლება	<p>მუხლი 28. საქართველოს კონსტიტუცია</p> <p>1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.</p> <p>2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედულუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.</p> <p>საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 4. არჩევნების ძირითადი პრინციპები</p> <p>საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.</p> <p>მუხლი 5. საყოველთაო საარჩევნო უფლება</p> <p>1. საქართველოში არჩევნები საყოველთაოა</p> <p>ა. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 18 წლის ასაკს და რომელიც აკმაყო-</p>	<p>საქართველოს კანონმდებლობა თანაბარ საარჩევნო უფლებებს აძლევს ქალებსა და მამაკაცებს. ქალი ამომრჩევლები ერთნაირად აქტიურნი არიან როგორც სოფლად, ასევე ქალაქებშიც, და მათ არ ხვდებათ დაბრკოლებები მათი საარჩევნო უფლებების განხორციელებისას.</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>ლებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გარდა იმ პირებისა, რომ-ლებიც, საქართველოს კონსტიტუ-ციით, და/ან ამ კანონის შესაბამისად (მუხლები 10, 56, 110) აეკრძალათ არჩევნებში მონაწილეობა;</p> <p>ბ. საქართველოს ნებისმიერ მოქალა-ქეს, რომელიც აქმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, აქვს პასიური საარჩევნო უფლება, გარდა იმ პირებისა, რომ-ლებსაც, საქართველოს კონსტიტუ-ციით, და/ან ამ კანონის შესაბამისად (მუხლები 73, 76, 78, 80, 92, 94, 98, 110) აეკრძალათ არჩევნებში მონაწილეობა.</p> <p>1.1. საარჩევნო უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასერელის აღსრულების დაწესებუ-ლებაში.</p> <p>მუხლი 6. თანასწორი საარჩევნო უფლება</p> <p>1. არჩევნებში ამომრჩევლები თანა-წორ საფუძველზე მონაწილეობენ.</p> <p>2. ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყოველ ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს.</p>	<p>მუხლი 6. თანასწორი საარჩევნო უფლება</p> <p>1. არჩევნებში ამომრჩევლები თანა-წორ საფუძველზე მონაწილეობენ.</p> <p>2. ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყოველ ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს.</p>
6. არჩევითი თანამდებობის დაკავებისთვის შესაბამისობა	<p>მუხლი 29. საქართველოს კონსტიტუცია</p> <p>1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აქმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.</p> <p>2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.</p>	<p>იხ. პუნქტი „ქალთა მონაწილეობა“</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 80. პასიური საარჩევნო უფლება</p> <p>1. საქართველოს პრეზიდენტიად შეიძლება აირჩის საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.</p> <p>2. საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატი არ შეიძლება იყოს ის მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.</p> <p>მუხლი 92. პასიური საარჩევნო უფლება</p> <p>1. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩის საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არააკლებ 10 წელი, იცის ქართული ენა.</p> <p>2. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩის მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.</p> <p>3. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩის მოქალაქე, რომელიც არის ნარკოტიკების გამაგრულებელი ან მომხმარებელი. თუ ასეთი პირი გამოცხადდება არჩეულად,</p>	

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ, საქართველოს პარლამენტს არა აქვს უფლება დამტკიცოს მისი უფლება-მოსილება.	
7. საკუთრების უფლებები	<p>მუხლი 1158. მეუღლების საერთო საკუთრება</p> <p>1. მეუღლების მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი საკუთრება წარმოადგენს საკუთრებას, რომელსაც ისანი ერთობლივად ფლობენ (საერთო საკუთრება), თუ მეუღლების შემოსის საქორწინო ხელშეკრულება რაიმე სხვას არ ითვალისწინება.</p> <p>2. საერთო საკუთრების რეჟიმი შეიძლება ანალოგიურად წარმოიქმნას, თუ ერთ-ერთ მეუღლე უვლის სახლს, ბავშვებს, ან თუ მას, რაიმე სხვა საბატიო მიზეზის გამო არ გაჩნია და-მოუკიდებელი შემოსავლის წყარო</p> <p>მუხლი 1159. საერთო საკუთრების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით</p> <p>საერთო საკუთრებაზე მეუღლებს თანასწორი უფლებები უნდა ჰქონდეთ. ამ საკუთრების ფლობა, გამოყენება და განკარგვა უნდა განხორციელდეს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.</p> <p>მუხლი 1160. საერთო საკუთრების გასხვისება ურთიერთშეთანხმებით</p> <p>მეუღლების საერთო საკუთრების გასხვისება უნდა მოხდეს მეუღლების ურთიერთშეთანხმებით, მიქნედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე გაასხვისებს ამ საკუთრებას. ერთ-ერთი მეუღლის</p>	<p>ქალებს შეუძლიათ ფლობდნენ მიწას, ბინებს, შენობებს, მანქანებს და სხვა საკუთრებას, და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქალები და მამაკაცები თანასწორი არიან კანონის წინაშე საკუთრების უფლებების თვალსაზრისით. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ქალებს მამაკაცებთან თანასწორი უფლებები აქვთ დადონ ხელშეკრულებები საკუთარი სახელით, განკარგონ და მართონ საკუთრება. ეს უფლებები უზრუნველყოფილია კონსტიტუციის 21-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება ცველა ადამიანისთვის თანაბრადა გარანტირებული.</p> <p>მეუღლებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მათ ქონებრივ უფლებებს და პასუხისმგებლობებს ქორწინების დროს და განქორწინების შემდეგ. თუმცა, საქორწინო ხელშეკრულება არ შეცვლის მეუღლების მოვალეობას მხარდაჭერა გაუწიონ ერთმანეთს, გადაუხადონ ალიმენტები განქორწინების შემთხვევაში, მათ უფლებას მიმართონ სასამართლოს უთანხმოების შემთხვევაში, მეუღლებს შეუძლიათ შეცვალონ საერთო საკუთრების მარგულირებელი წესები.</p> <p>მეუღლებს ასევე შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი ქონებრივი უფლებები, ე.ი. საკუთრება, რომელსაც თითოეული მეუღლე ფლობდა ქორწინებამდე, მემკვიდრეობით მიღებული ან ნაჩუქარი ქონება ქორწინების დროს (გარდა საგვარეულო ძვირფასეულობისა).</p> <p>არ ასებობს სპეციალური კანონმდებლობა დაუქორწინებელი წყვილების შესახებ და სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ასეთი წყვილების საკუთრების შესახებ დებულებებს – ისინი განიხილებან, როგორც დამოუკიდებელი პირები. თუ დაუქორწინებელი წყვილი დროის მნიშვნელოვანი პერიოდის (ე. ი. რამდენიმე წლის) განმავლობაში ერთად ცხოვრიბს, როგორც ოჯახი, მაშინ საზოგადოება აღიქვამს ამ წყვილს როგორც ოჯახს, იმის მიუხედავად, რომ მათი ქორწინება რეგისტრირებული არა. მართალია საზოგადოებას არა აქვს ნეგატიური დამოკიდებულება დაუქორწინებელი წყვილების მიმართ, მაგრამ ამგვარი დამოკიდებულება ფართოდ არაა გავრცელებული.</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>მიერ საკუთრების გასხვისებისთვის დადებული გარიგება შეიძლება გაუქმდეს მეორე მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მეუღლეს, რომელმაც გაასხისა საკუთრება, არ ჰქონდა ამის უფლება და თუ დამტკიცდება, რომ მან იციდა, ან უნდა სცოდნონა, რომ მას არ გააჩნდა ასეთი უფლება.</p> <p>მუხლი 1161. მეუღლეთა განცალკევებული საკუთრება</p> <p>შემდეგი შეადგენს თითოეული მეუღლის განცალკევებულ საკუთრებას:</p> <p>ა. საკუთრება, რომელსაც ეს მეუღლე ფლობდა ქორწინებამდე;</p> <p>ბ. საკუთრება, რომელიც მიღებულია ქორწინების დროს, მემკვიდრეობის ან საჩუქრის სახით.</p>	<p>ბავშვებს, რომლებიც ქორწინების გარეშე არიან დაბადებული, ისეთივე უფლებები აქვთ, როგორიც ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს. ტრადიციულად, ქართული საზოგადოება არ იღებდა მარტოხელა დედებს და გამიხატაგდა მათ მიმარ წევატიურ დამოკიდებულებას. მართალია ამჟამად მათ მიმართ დამოკიდებულება უფრო ლიბერალურია, მაგრამ დაუჭორწინებელ დედებს ხშირად ისევ აქვთ პრობლემები საკუთარ ოჯახის წევრებთნ. სამოქალაქო კოდექსში არის მუხლები, რომლებიც იცავს მარტოხელა დედების უფლებებს და უზრუნველყოფს დახმარებას მათი მატერიალური მხარდაჭერისთვის. მაგალითად, 36(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ არ შეიძლება მარტოხელა დედებისა და სამ წლამდე ასაკის ბავშვების დედების სამსახურიდან გათავისუფლება შემცირების დროს.</p> <p>მარტოხელა დედებს იგივე უფლებები აქვთ, რაც დაჭორწინებულ დედებს.</p>

მონაწილეობა ეკონომიკაში

1. მეწარმეობა	<p>არ არის სპეციალური დებულებები</p> <p>კანონში მეწარმეობის შესახებ არ არის კონკრეტული დებულებები რომლებიც შეეხება მეწარმეთა სქესს, მიუხედავად ამისა, საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი დებულებების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც ყველა პიროვნებას აქვს უფლებები და შესაძლებლობები, სქესის განუჩერევლად, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება, თუ ის აკმაყოფილებს კანონის შესაბამის მოთხოვნებს.</p>	<p>მსხვილი საწარმოების მფლობელებს შორის არ იყვნენ ქალები. რაც შეეხება მცირე ბიზნესს, 341 სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქციის გადასამუშავებელ საწარმოს 57 ქალებს ეკუთვნის, ასევე 3897-დან 1254 კომერციული საწარმო, 164-დან 2 ნავთობის მრეწველობის საწარმო, 396-დან 85 განდაცვის დაწესებულება და 396-დან 41 სოციალური სფეროს დაწესებულება ეკუთვნის ქალებს. ამგვარად, უნდა განხორციელდეს ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა სამეწარმეო საქმიანობას.</p> <p>მნიშვნელოვანია, რომ იმ ორგანიზაციებში, რომლებსაც შეეხებათ ეკონომიკური პოლიტიკა, ძალზე მცირეა ქალების წილი უმაღლეს თანამდებობებზე, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას განხორციელონ ეს პოლიტიკა.</p> <p>ქალები ჩართული არიან საბანკო სექტორში, სადაც ისინი 48%-ს შეადგენენ. ქალის საშუალო ხელფასი ამ სექტორში 80.80 ლარს შეადგენს, რაც საშუალო ინდიკატორის 92%-ია (წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი).</p>
---------------	--	--

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
		<p>მცირე ბიზნესში (მაგ. მაღაზიები, კაფეები, რესტორნები და სასტუმროები) ქალები და მამაკაცები ერთნაირად არიან წარმოდგენილი, თუმცა, მსხვილ ბიზნესში ქალების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია. ქალებს შეიძლება ჰქონდეთ ბიზნეს პროექტები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მსხვილი ბიზნესის დაწყება, რადგან მათ არ გააჩნიათ სათანადო მხრდაჭერა. ოფიციალურად რეგისტრირებულ ბიზნესში და სახელმწიფო ორგანიზაციებში მომუშავე ქალები უმცირესობაში არიან. ე.ი. დასაქმებული ქალების 30%-ს შეადგენენ. ეს თანაფარდობა ისეთივეა, როგორიც საბჭოთა დროს იყო.</p> <p>არსებული ინფორმაციის მიხედვით, მასმედიაში და-საქმებულ უურნალისტთა ორ მესამედს ქალები შეადგენენ. ბოლო წლებში მცვეთრად გაიზარდა ამ სფეროში წამყვან და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ქალების რიცხვი. იგივე შეიძლება ითქვას სარეკლამო ბიზნესში, რომელშიც ახალგაზრდა ქალები არიან დაკავებული.</p>
2. კრედიტის ხელმისაწვდომობა	არ არსებობს სპეციალური დებულებები. გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები.	ქალებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად მიიღონ ფინანსური მომსახურება (კრედიტები, სესხები), ვინმე სხვისგან ნებართვის მიღების გარეშე.

მონაწილეობა ეკონომიკაში

1. შრომის უფლება	<p>კანონი დასაქმების შესახებ მუხლი 7.</p> <p>დასაქმების უფება</p> <p>საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად რასისა, ეთნიკური წარმოშობისა, სქესისა, რელიგიური რწმენისა, პოლიტიკური შეხედულებებისა და ქინებრივი მდგრადრეობისა, აქვს მუშაობის უფლება. შექმნილია პირობები, რათა უზრუნველყოფილი იქნა მოქალაქეთა მაქსიმალური დასაქმება და უმუშევრობის შემცირება.</p> <p>უმუშევართა სოციალური დაცვა გარანტირებულია.</p>	<p>შრომის ბაზრის ანალიზმა უჩვენა, რომ ქალების მდგრამარეობა მნიშვნელოვნად შეირყა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2002 წელს ქალები შეადგნდნენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხლობ 47.7%-ს. 15 წელზე უფროს დასაქმებულ ქალებს შორის 35.9%-ი დასაქმებულია კონტრაქტით, დანარჩენი 64% თვითდასაქმებულია. თვითდასაქმებულ ქალთა უმეტესობა მუშაობს საოჯახო ფერმებში ან ბიზნესში, ანაზღაურების გარეშე.</p> <p>დასაქმების შესაძლებლობები კანონის მიხედვით თანაბარია, მაგრამ ქალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ხელმძღვანელ თანამდებობებზე, როგორც საჭარო, ასევე კერძო სექტორშიც და მათი ანაზღაურება ჩვეულებრივ, უფრო დაბალია.</p> <p>საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით მიმოხილვა „ქალები და მამაკაცები საქართველოში, 2005 წ.“) ქალი თანამშრომლების საშუალო ხელფასი სახელმწიფო ორგანიზაციებში შეადგენს მამაკაცი თანამშრომლების საშუალო ხელფასის მხლობ 55.1%-ს,</p>
------------------	--	---

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>მუხლი 16. უმუშევრობა</p> <p>უმუშევარი პირის პროფესიული მომზადება და გადამზადება ხდება, თუ:</p> <p>(ა) დასაქმების სამსახური ვერ უზრუნველყოფს დაუსაქმებელ პიროვნებას მისი პროფესიის შესაბამისი სამსახურით, სამი თვის ვადაში.;</p> <p>(ბ) დასაქმების სამსახურს არ შეუძლია შესთავაზოს უმუშევარ პიროვნებას სამუშაო მის პროფესიულ სფეროში და მას სჭირდება სპეციალობის შეცვლა.</p> <p>(გ) უმუშევარმა პირმა დაკარგა თავისი სპეციალობით მუშაობის საშუალება;</p> <p>(დ) უმუშევარმა პირმა გამოთქვა პროფესიის შეცვლის სურვილი.</p> <p>2. უმუშევარი პირის პროფესიული მომზადება და გადამზადება ხორციელდება სახელმწიფო დასაქმების სამსახურში, პროფესიული განათლების ცენტრში, მომზადების/გადამზადების ცენტრში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში და დაფინანსდება შეერთებული შტატების დასაქმების ფონდის, აგრეთვე სხვა დაინტერესებული სამჩერებლო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ.“</p>	<p>საზოგადოებრივ დაწესებულებებში – 46%-ს, სოფლის მეურნეობაში 82.5%-ს, ვაჭრობის სფეროში – 71.2%-ს, განათლების სფეროში – 72.6%-ს, ჯანდაცვის სფეროში – 71.8%-ს, სამომხმარებლო მომსახურებაში - 51.7%-ს, თვითდასაქმებაში – 69.9%-ს.</p> <p>როდესაც ხელმისაწვდომია სამუშაო ადგილი, პოტენციური დამქარებელი მიუთითებს სამსახური ქალისთვისაა გათვალისწინებული თუ კაცისთვის. ქალებისთვის სამუშაო ადგილების უმეტესობა ვაჭრობის ან მომსახურების სფეროებშია (გამყიდველი, ოფიციანტი, დალაქი, კოსმეტოლოგი და ა. შ.). დაბალია მოთხოვნა მაღალი კვალიფიკაციის კადრებზე, რომლებსაც მაღალი დონის განათლება აქვთ (უცხოენა, კომპიუტერზე მუშაობის უნარი-ჩვევები და ა. შ.). შრომის ბირჟა უზრუნველყოფს მომსახურებას იმ უმუშევრებისთვის, რომლებიც არ არიან კონკურენტუნარიანი შრომის ბაზაზე, მაგრამ, უმთავრესად ესაა დაბალანაზღაურებადი, დაბალკვალიფიციური სამუშაო.</p> <p>უმუშევართა სამსახური ასევე უზრუნველყოფს გადამზადებას უნარშეზღუდული პირებისთვის, რათა ისინი უფრო კონკურენტუნარიანი გახდნენ და უფრო ადგილად იპოვნინ სამუშაო, არამარტო უმუშევართა სამსახურის მეშვეობით, არამედ დამოუკიდებლადაც. დასაქმების სახელმწიფო ფონდი აფინანსებს უმუშევარი პირების კომპიუტერულ ტრენინგებს და უცხო ენების დაწყებით კურსებს გაყიდვების სფეროში. ამის გარდა, ტურიზმის დეპარტამენტმა გახსნა ტრენინგის კურსები მაღალი კლასის სასტუმროებისა და რესტორნების ოფიციანტებისა და პირტიერებისთვის.</p> <p>რაც შეხება დასაქმებას, არსებობს ასაკობრივი შეზღუდვები და მოთხოვნები გარეენობის მიმართ, ასევე სხვა მოთხოვნებიც, რომლებიც მამაკაცებზეც ვრცელდება. მცირე გამონაკლისების გარდა, ოჯახური მდგომარეობა მხედველობაში არ მიიღება სამუშაოზე განცხადების შეტანისას.</p> <p>არ არსებობს გენდერული დისკრიმინაცია დარეგისტრირებულ უმუშევარ პირებს შორის და არსებობს კანონის მოთხოვა, რომლის მიხედვითაც, თუ ასეთი პირები ვერ იშოვნიან სამუშაოს სამი თვის ვადაში, მათ შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი ტრენინგების ან გადამზადების კურსების გავლაზე.</p> <p>თუმცა, ქალების სამსახურიდან მოხსნის შესაძლებლობანამდვილად უფრომეტია მამაკაცებთან შედარებით, რადგან ითვლება, რომ კაცები უფრო მოქნილად ითვლე-</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
		ბიან სამუშაოს და მიცლინებების თვალსაზრისით და მათ უფრო ნაკლებად ზღუდავს პასუხისმგებლობა აწახის მოვლაზე. გასული 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო და ეკონომიკური სისტემა არსებითად შეიცვალა საბაზო რო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად, რამაც მოიტანა ახალი მოთხოვნები და დაარღვია ძველი სტრუქტურა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევრობა.
2. თანასწორი ანაზღაურება	<p>საქართველოს შრომის კოდექსი</p> <p>შრომის ანაზღაურება ხდება შრომის კანონმდებლობით დაღენილი პროცედურებითა და პირობებით. ამ თვალსაზრისით, აკრძალულია დისკრიმინაციის ყველა ფორმა, მათ შორის, დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე.</p>	თანაბარი ანაზღაურება ქალებისა და მამაკაცებისათვის გათვალისწინებულია შრომის კოდექსით და ფაქტობრივადაც ხელფასები უმთავრესად ერთნაირია. თუმცა, არ არსებობს ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც განახორციელებდა სახელმწიფო კონტროლს ანაზღაურების თანასწორობაზე; თანასწორი ანაზღაურება არ შედის იმ მაჩვენებლებში, რომელთა ასახვაც ეგალებათ დამჭირავებლებს მათ ანგარიშებში. მიუხედავად ამისა, არსებობს მნიშვნელოვნანი განსხვავება მამაკაცებისა და ქალების შემოსავლებს შორის, რადგანაც ქალებს უფრო ხშირად უკავიათ დაბალი თანამდებობები და მათ მამაკაცებზე უფრო იშვიათად აწინაურებენ (2003 წელს ქალის საშუალო ხელფასი 85.7 ლარს შეადგენდა, ხოლო მამაკაცის – 163 ლარს).
2. ფეხმძიმობა, დედობა და მამობა	<p>საქართველოს შრომის კოდექსი</p> <p>ფეხმძიმე ქალებისა და სამ წლამდე ასაკის ბავშვების დედების, აგრეთვე 14 წლამდე ასაკის ბავშვების (ან 16 ან 16 წლამდე ასაკის ინგალიდი ბავშვების) მარტოხელა დედების დასაქმების გარანტისა იძლევა და კრძალავს მათ სამსახურიდან გათავისუფლებას (მუხლი 161).</p> <p>ქალებს, რომლებიც მუშაობდნენ სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში (18 წლამდე ქალების შემთხვევაში მუშაობის ხანგრძლივობა მხედველობაში არ მიიღება), მათი მოთხოვნით ეძლევათ ნაწილობრივ ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება ბავშვის 18 თვის ასაკამდე. ქალებს, რომლებიც მუშაობდნენ 1 წლამდე პერიოდის განმავლობაში, ეძლევათ დახმარება მა-</p>	<p>საქართველოს კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს როგორც დედებს, ასევე მამებს, აილონ სხვადასხვა სახის შეგბულებები ბავშვების მოსავლელად, მაგრამ ქართველ მამაკაცებს შორის სამუშაოს დატოვება ბავშვის მოსავლელად არაა მიღებული და ეს დაუშვებელიც კია. ეს ასევე უკავშირდება ეკონომიკურ საკითხებსაც, რადგანაც უმთავრესად ქმარს უფრო მაღალი შემოსავალი აქვს.</p> <p>მამაკაცები მონაწილეობას არ იღებენ ბავშვის მოვლაში და აუცილებელია საქართველოს არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს ბავშვების მოვლის გარანტიებს, რათა მომუშავე ქალებმა შეძლონ ბავშვების მოვლა სამსახურის დატოვების გარეშე. ახალი შრომის კოდექსის პროექტი, რომელსაც CSO-ები, პროფესიური და საერთაშორისო ორგანიზაციები განიხილავენ, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და შეიძლება განაპირობოს დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში, რამდენადაც მასში უგულვებელყოფილია ძირითადი გარანტიები დედობასთან, მამობასთან და შვებულებებთან დაკავშირებით.</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>თი ხელფასის ნახევრის ოდენობით. მამას, ან სხვა ნათესავებს, რომლებიც ფაქტობრივად უვლიან ბავშვს, შეუძლიათ აიღონ ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულება და სევე დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად. შრომის კოდექსის მიხედვით, თანამშრომელს შეიძლება მიეცეს მისი მოთხოვნით მოკლევადიანი უხელფასო შვებულება ოჯახური პირობების გამო, რაც მოიცავს ავადმყოფი ბავშვების ან ოჯახის სხვა წევრების მოვლას.</p>	
3. დეკრეტული შვებულება	<p>საქართველოს შრომის კოდექსი</p> <p>დეკრეტული შვებულებები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დეკრეტული შვებულება მოიცავს 70 კალენდარულ დღეს მშობიარობამდე და 56 კალენდარულ დღეს მშობიარობის შემდეგ; 2. შვებულებას ქალებისთვის, რომლებმაც იშვილეს ბავშვი; 3. შესვენებებს ბავშვის კვებისთვის; 4. დამატებით უხელფასო შვებულებას სამ წლამდე ასაკის ბავშვების დედებისთვის. ეს შვებულება ჩაითვლება თანამშრომლის მთლიანი უწყვეტი სტაჟის ნაწილად, ისევე, როგორც ტრენინგი მის სპეციალობაში (მუხლი 161); <p>უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფეხმძიმე ქალებისა და 18 თვემდე ასაკის ბავშვების დედების გადაყვანა უფრო მსუბუქ სამუშაოზე.</p>	

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
რეპროდუქციული ჭანმრთელობა		
1. რეპროდუქციული ჭანმრთელობა	<p>საქართველოს კანონი ჭანმრთელობის დაცვის შესახებ</p> <p>თავი XXIII. ოქანის დაგეგმვა (მუხლი 136-145)</p> <p>141: განაყოფიერება დონორის სპერმით ნებადართულია:</p> <p>1. უშვილობის გამო, ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, ან მარტოხელა ქალის განაყოფიერებისათვის, თუ მიღებულია უშვილო წყვილის ან მარტოხელა ქალის წერილობითი თანხმობა. ბავშვის დაბადების შემთხვევაში უშვილო წყვილი ან მარტოხელა ქალი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით. დონორს არა აქვს განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება;</p> <p>2. მხოლოდ სათანადო ლიცენზიის მქონე დაწესებულებაში, თუ მას ატარებს შესაბამისი ლიცენზიის მქონე ექიმი</p> <p>142. 1. ადამიანის კლონირება გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით აკრძალულია.</p> <p>2. სახელმწიფო აკონტროლებს გამოკვლევებს გენური ინჟინერიის სფეროში კანონით დადგენილი წესით.</p> <p>143. 1. ექსტრაკორპორალული განაყოფიერება ნებადართულია:</p> <p>ა) უშვილობის მკურნალობის მიზნით,</p>	<p>დღემდე, უმეტესად მშობიარობისას უზრუნველყოფილი იყო პროფესიონალური დახმარება, თუმცა, მასმედიაში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ინფორმაცია სახლში მშობიარობის შემთხვევების შესახებ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი შემთხვევები სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება, რადგანაც დედებს არ გააჩნიათ საკმარისი ფული იმისათვის, რომ პროფესიონალური დახმარება მიიღონ საავადმყოფოში – ეს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ძალზე დაბალი შემოსავლების შედეგაა. ჭანდაცვის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჭანდაცვის დეპარტამენტი უარს აცხადებს რაიმე ოფიციალური ინფორმაციის გაცემაზე.</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>აგრძელების დროს ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჩრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა;</p> <p>ბ) თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედის“) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით. წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია.</p> <p>2. ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან „სუროგატულ დედას“ არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება.</p> <p>144. ხელოვნური განაყოფიერების მიზნით შესაძლებელია გაყინვის მეთოდით კონსერვირებული ქალის და მამაკაცის სასქესო უჩრედების ან ემბრიონის გამოყენება. კონსერვაციის დრო განისაზღვრება წყვილის სურვილისამებრ, დადგენილი წესით.</p>	
2. კონტრაცეპტია	<p>საქართველოს კანონი კანმრთელობის დაცვის შესახებ</p> <p>136. საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს რეპროდუქციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგნილი წესით.</p>	<p>ოჯახის დაგეგმვას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქალებისათვის საქართველოში. WHO/UNFPA-ის ოჯახის დაგეგმვის და რეპროდუქციული კანმრთელობის პროგრამა უზრუნველყოფს კონსულტაციებსა და გინეკოლოგიურ მომსახურებას ქალებისა და გოგონებისთვის და ავრცელებს კონტრაცეპტივებს უფასოდ. ისინი ასევე გზავნიან მათ ექსპერტებს იმ კლინიკებში, სადაც არის ოჯახის დაგეგმვის ცენტრები. 1997 წელს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება „ადამიანის უფლებების განმტკიცების ზომების განხორციელების შესახებ“, რომელშიც ხაზგასმული იყო კონტრაცეპტიის მეთოდების დანერგვის, სპეციალური აფთიაქების გახსნის, ქალთა რეპროდუქციული წანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების და აბორტის</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>137. სახელმწიფო უზრუნველყოფს დასაქორწინებელ, აგრეთვე, შვილის ყოლის მსურველ წყვილთა უფასო ნებაყოფლობით სამედიცინო-განეტიკურ კინსულტაციას.</p> <p>138. კონტრაცეპტივების წარმოება, იმპორტი და გავრცელება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით.</p>	<p>წინააღმდეგ აგრესიული საგანმანათლებლო კამპანიას ჩატარების აუცილებლობა. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები უალოესი მომავლისთვის ითვალისწინებს ოჯახის დაგემვის ახალი პროექტების შემუშავებას და მათ შეტანას სახელმწიფო პროგრამებში, დემოგრაფიული ინდიკატორების და ასევე ქვეყნის სოციალური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, ქალებისა და გოგონებისთვის პროგრამის შემუშავებას, მათი ინფორმირებისთვის აბორტის შესაძლო მავნე ზემოქმედების, კონტრაცეპტივების გამოყენების და გინეკოლოგიური და ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ.</p> <p>გერმერის სერიალით სერიალიზებული საკითხების შესახებ განათლება შეტანილი არაა სკოლის პროგრამაში.</p> <p>სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის კომპანია, დედისა და ბავშვის დეპარტამენტი და ოჯახის დაგემვისა და საზოგადოებრივი წანდაცვის დეპარტამენტები ფუნქციონირებს წანდაცვის სამინისტროს ფარგლებში.</p> <p>კონტრაცეპტივები უფასოა საავადმყოფოებსა და კლინიკებში, თუმცა, ექიმთან კონსულტაცია ფასიანია და ერთი ვიზიტის ფასი საშუალოდ 10 ლარს შეადგენს. კონტრაცეპტივები ასევე აფთიაქებშიც იყიდება. ქალაქებში აბორტების რიცხვი მცირდება, რადგანაც იქ ადვილად ხელმისაწვდომია კონტრაცეპტივები.</p>
3. აბორტი	<p>საქართველოს კანონი წანმრთელობის დაცვის შესახებ</p> <p>139. 1. ქალთა წანმრთელობის დაცვა აბორტების შემცირების გზით სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა.</p> <p>2. ორსულობის ნებაყოფლობითი შეწვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ, თუ:</p> <p>ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება ორიმეტ კვირას;</p>	<p>აბორტი კანონით დაშვებულია და საქართველოში შობადობის კონტროლის უმთავრეს ფორმად ჩერება. არალეგალური აბორტები ისხება ხუთ წლამდე პატიმრობით. თუ ექიმი არალეგალურ აბორტს გააკეთებს, ის კარგავს საექიმო პრაქტიკის უფლებას ხუთ წლამდე ვადით.</p> <p>სანამ ქალი აბორტს გაიკეთებდეს, მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: ის უნდა იყოს სულ მცირე 18 წლის და მას უნდა ჰქონდეს ცნობა (ნებართვა), სადაც მითითებული იქნება, რომ მას არა აქვს ანთებითი დაავადებები ან საშეილოსნოს კიბო.. ორ თვეზე მეტი ვადის ფეხმძიმობის შეწვეტა დაუშვებელია.</p> <p>სახელმწიფო არ აფინანსებს აბორტებს და ქალები თავად იხდიან აბორტის ფასს, არ არსებობს ფიქსირებული გადასახადი აბორტისთვის, მისი ფასი 25-დან 40 ლარამდე (12.50-20 აშშ დოლარი) მერყეობს სხვადასხვა დაწესებულებებში, იმის მიხედვით, კლინიკა სახელმწიფოა თუ კერძო.</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა. გასაუბრების დროს ეჭიმმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას. არჩევანი ქალის პრეროგატივაა.</p> <p>140. 1. აბორტის რეკლამა აკრძალულია.</p> <p>2. თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით. სამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალს ადგენს საქართველოს კანმრთელობის დაცვის სამინისტრო. სოციალური ჩვენებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.</p>	
5. ადამიანის იმუნო-დეფიციტის ვირუსი/შიდა ი	<p>საქართველოს კანონი, აიგ/შიდა ის პროფილაქტიკის შესახებ, განსაზღვრავს საქართველოში აიგ/შიდასის კონტროლის ძირითად პრინციპებს, დაადგენს აიგ/შიდასის მქონე მოქალაქეების გასინჯვის აგრძელებით მათი მეურნალობის და პროფილაქტიკური ზომების პირობებს, განსაზღვრავს საკანონმდებლო რეჟიმს, რომელიც მოქმედებს ასეთ პირებთან მიმართებაში, განსაზღვრავს მათ, ასევე სამედიცინო პერსონალის უფლებებსა და მოგალეობებს და შექება სოციალური უზრუნველყოფის კონკრეტულ საკითხებს.</p>	<p>საქართველოში შიდასთან ბრძოლის სფეროში ძირითადი აქცენტი პროფილაქტიკაზე კეთდება. აკრძალვებმა, შეზღუდვებმა და საგანგებო ზომებმა, რომელიც მოსახლეობაში განხორციელდა, განაპირობა მეტი ნდობა და თანამშრომლობის გაფართოება, რაც, თავის მხრივ ამარტივებს კანმრთელობის დაცვას. ამ პროგრამას ახორციელებენ საზოგადოებრივი კანდაცვის დეპარტამენტი და შიდასისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ცენტრი.</p> <p>2000 წლის შემდეგ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსისა და შიდასის გავრცელება ხასიათდება ზრდის ტენდენციით. 2004 წელს აგადმყოფი ქალების რიცხვი, 2003 წელთან შედარებით 24%-ით გაიზარდა, ხოლო მამაკაცების – 20.8%-ით.</p>
სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით		
2. ადამიანებით გაჭრობა	<p>მუხლი 17 საქართველოს კონსტიტუცია</p> <p>1. ადამიანის პატივი და ლირსება ხელშეუვალია.</p>	<p>2005 წლის 19 ოქტომბერს საქართველომ ხელი მოაწერა ევროსაბჭოს კონვენციას ადამიანებით გაჭრობის (ტრეფიკინგი) საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ. ამ კონვენციას ხელი მოაწერა 16-მა ქვეყანამ, თუმცა, ის ჯერ არც ერთის მიერ არ არის რატიფიცირებული.</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპეტური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.</p> <p>მუხლი 18</p> <p>1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.</p> <p>მუხლი 30</p> <p>1. შრომა თავისუფალია. [...]</p> <p>2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს.</p> <p>3. შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.</p> <p>4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, წანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.</p> <p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი</p> <p>მუხლი 1431 ადამიანების ტრეფიკინგი</p> <p>1. ადამიანის ყიდვა, გაყიდვა და მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებების დადება, აგრეთვე სამსახურში მიღება, გადაცემა, დაფარვა ან მიღება, იძულებით, შანტაჟით ან მოტკუებით, ექსპლუატაციის მიზნით, ისჯება 5-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.</p>	<p>კანონი კრძალავს ადამიანების ტრეფიკინგს, თუმცა, ქვეყანა წარმოადგენს ასეთი ადამიანების წყაროს, სატრანზიტო პუნქტსა და დანიშნულების ადგილს.</p> <p>გენერალურ პროცესუალურასა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შორის ურთიერთგაებების მემორანდუმის გაფორმებამ განაპირობა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, ერთობლივი ოპერაციების განხორციელება და რიგი პიროვნებების დაპატიმრება და დაგარიმება ტრეფიკინგის ბრალდებით. წლის ბოლომდე არ ყოფილა გამოტანილი საბრალდებო განაჩენი. დეკემბერში, პრეზიდენტის ბრძანებულებით მიღებული იქნა ახალი სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისადაც დაარსდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთგერადი სააგენტოთაშორისო კომისია, ქვეყნის უშიშროების ეროვნული საბჭოს მხარდაჭერით. უშიშროების ეროვნული საბჭოს ადამიანთა უფლებების გეუფი ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის საკონტაქტო პუნქტად დარჩა მთელი მთავრობის მასშტაბით.</p> <p>მთავრობამ გააუქმა MIA-ის ტრეფიკინგთან ბრძოლის გეუფი, რომელიც უცხოურ დაფინანსებას იღებდა და გაერთიანა ის ადამიანის გატაცებასთან ბრძოლის გეუფითან იმ იმედით, რომ ახალ გეუფს კონკრეტულ შემთხვევებზე მუშაობის კოორდინაციის და გამომძიებლებთან ინფორმაციის გაცვლის უფრო მეტი შესაძლებლობები ექნებოდა. ოქტომბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგთან ბრძოლის გეუფი დაიყო ორ ფილიალად – თბილისისა და ბათუმის ფილიალებად. MIA-ს და MSS-ის გაერთიანების შემდეგ დაარსდა ტრეფიკინგთან და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სპეციალური ოპერატიული განყოფილება, რომელშიც 50 თანამშრომელია, პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ახალი სამინისტროს ფარგლებში.</p> <p>ქვეყანა თანამშრომლობს რეგიონის სხვა ქვეყნებთან, ტრეფიკინგის კავშირების დასადგენად და გატაცებული პირების რეპატრიაციის სფეროში, რომლებიც ქვეყანაში ტრანზიტის დროს იპოვნენ.</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>2. იგივე ქმედება ან უმოქმედობა, ჩადენილი</p> <ul style="list-style-type: none"> ა) განმეორებით; ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ; გ) ფეხმინე ქალის მიმართ; დ) ოფიციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით; <p>ე) მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანით;</p> <p>ვ) სიცოცხლის და კანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ამგვარი ძალადობის მუქარით;</p> <p>ზ) იმ პირის მიმართ, რომელიც, როგორც ცნობილია დამნაშავისთვის, არის უმწეო მდგომარეობაში, ან პირის მიმართ, რომელიც მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული იყო დამნაშავეზე, ისება 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.</p> <p>3. ქმედება ან უმოქმედობა, განსაზღვრული ამ მუხლის 1 და 2 აბზაცებით</p> <ul style="list-style-type: none"> ა) თუ ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) თუ გამოიწვევს მსხვერპლის სიკვდილს ან სხვა მძიმე შედეგებს, ისება 12-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. 	
2. სექსუალური დანაშაული	<p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი</p> <p>მუხლი 137 გაუპატიურება</p> <p>გაუპატიურება არის სექსობრივი კავშირის დამყარება ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობით სარგებლობით, და ისება 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.</p>	<p>ამ საკანონმდებლო დებულებების მიუხედავად გაუპატიურება მაინც ტაბუდ რჩება და შეუძლებელია შესაბამისი სტატისტიკის შესახებ საუბარი, ამასთან ანონიმური სარეაბილიტაციო ცენტრების ნაკლებობა კიდევ უფრო აღრმავებს ამ პრობლემას. არ არსებობს სპეციალური განყოფილება არც პოლიციაში და არც პროკურატურაში, რომელსაც მხოლოდ გაუპატიურების შემთხვევები შეეხება და არ არსებობს სპეციალური ტრენინგის კურსები, რომლებიც დაეხმარებოდა პოლიციას და პროკურატურას ამ საკითხის მოგვარებაში.</p> <p>გაუპატიურების შემთხვევაზე საჩიელის შეტანა შესაძლებელია მსხვერპლის განცხადებისა და მტკიცებულების (ე. ი. სამედიცინო შემოწმების) საფუძველზე. იური-</p>

საკითხი	კანონის დებულებები	კომენტარები
	<p>იგივე დანაშაული, ჩადენილი განმეორებით ან პირის მიერ, რომელსაც ადრე ჩადენილი აქვს განსაკუთრებით მიმდე გაუპატიურება (ე. ი. ანალური კავშირი, ორალური კავშირი ან განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობა), ძალადობით ან ძალადობის მუქარით ან ისარგებლებს მსხვერპლის უმწეო მდგომარეობით, ან 16 წლამდე ასაკის პირის გაუპატიურება გაუკულმართებული გზით, ძალადობის გარეშე, მსხვერპლის ასაკის ცოდნით, ისჯება 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.</p> <p>გაუპატიურება, ჩადენილი პირთა შეუფის მიერ, ან განზრას ჩადენილი ფეხმიმე ქალის ან მცირეწლოვანის გაუპატიურება, ან განსაკუთრებული სისასტიკით ან მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ჩადენილი გაუპატიურება, აგრეთვე გაუპატიურება, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლის სიკვდილი, ისჯება 5-დან 15 წლამდე პატიმრობით.</p> <p>14 წლამდე ასაკის პირის გაუპატიურება ისჯება 10-დან 20 წლამდე პატიმრობით.</p>	<p>დიული სანქციების თავიდან აცილება შეუძლებელია მსხვერპლზე დაქორწინებით, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ოქანისა და საზოგადოების დამოკიდებულება გაუპატიურებელი მსხვერპლის მიმართ იმდენად ნეგატიურია, რომ ქალები გრძნობენ, რომ ასეთი დანაშაულის შესახებ განცხადების შემთხვევაში მათ არანირი მომავალი აღარ ექნებათ.</p> <p>„მეუღლის გაუპატიურება“ არაა გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის 137-ე მუხლის მიხედვით, შესაძლებელია გაუპატიურების ყველა ფორმების განხილვა. ამჟამად არსებობს ანონიმური სატელეფონო სამსახური, რომელიც სპეციალიზებულია გაუპატიურების მსხვერპლი ქალების დახმარებაზე, მაგრამ არ არსებობს თავშესაფრები, სპეციალური სამსახურები და მათი დახმარებისა და დაცვის სხვა მექანიზმები.</p> <p>კანონში არ არსებობს დებულებები ოქანში ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ და არ არის მონაცემები, რომელიც უჩვეულებელია, რომ საზოგადოებამ იცის მაინც ასეთი პრობლემის არსებობის შესახებ.</p> <p>პროსტიტუციას არ გააჩნია რაიმე იურიდიული სტატუსი საქართველოში, თუმცა, ასეთი პრაქტიკა არსებობს.</p> <p>შუამავლობა უკანონოა და კანონით ისჯება პროსტიტუციის ბინების მოწყობა და პროსტიტუციაში იძულებით ჩაბმა.</p>
	<p>მუხლი 138 სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება</p> <p>მამათმავლობა, ლესბიანობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტები ცნობების გახმაურების ან ქონების დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი, ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, ისჯება ჭარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ერთი წლის ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით, ვიდრე ორ წლამდე.</p>	

ძალადობის გარეშე გარეუვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკის მიუღებელთან პროსტიტუციაში ჩაბმა, ძალმომრეობით, ძალადობის ან საკუთრების განადგურების მუქარით აგრეთვე შანტაჟით ან მოტყუებით (მუხლი 253); პროსტიტუციის ბინების მოწყობა (მუხლი 254), მცირეწლოვანთა ჩაბმა პროსტიტუციაში და სხვა სქესობრივი გარეუვნილება (მუხლი 171, აბზაცი 1).

1.2. გენდერული თანასწორობისა და თანასწორობის პოლიტიკისთვის შექმნილი სახელმწიფო ორგანოები

თანდათანობით ქართული საზოგადოება და მთავრობა სცნობს გენდერული თანასწორობის საჭიროებას, როგორც სტაბილური განვითარებისა და ადამიანური პოტენციალის სრულად რეალიზების აუცილებელ პირობას.

ამ თვალსაზრისით, სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს ქალების მდგომარეობას, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებშიც ჭერ კიდევ არსებობს დაბრკოლებები და პრობლემები, არის ეს საკანონმდებლო ინიციატივები თუ ქალთა თანასწორი მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში არსებობს ორი პარალელური სტრუქტურა, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ და მათი კარგად კოორდინირებული მუშაობა მნიშვნელოვან წელის შეიტანს გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში.

საქართველოში ეროვნულ ინსტიტუციონალურ მექანიზმებს თავისი საკუთარი ისტორია აქვს.

1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაარსდა სახელმწიფო კომისია ქალთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისთვის;

2004 წელი – სამთავრობო სამუშაო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიის შესაქმნელად;

2004 წელი – პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო;

2005 წელი – საქართველოს მთავრობის რეზოლუცია (რეზოლუცია № 109, 2005 წ. 28 ივნისი, თბილისი) გენდერული თანასწორობის საკითხების სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ.

2005 წელი – გენდერული თანასწორობის საკითხების სახელმწიფო კომისიის დებულების (მუხ-

ლი 3, მუხლი 2) საფუძველზე დაარსდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო საკონსულტაციო საბჭო.

მთავრობის პარტნიორობასა მოქალაქო საზოგადოებასთან მნიშვნელოვანი პირობაა სტაბილური და ლეგიტიმური ეროვნული ინსტიტუციონის მექანიზმების შესაქმნელად. საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების, მათი კოალიციების და ქსელების საქმიანობა ემსახურება გენდერული პრობლემების გამოვლენასა და მათი გადაწყვეტის გზების ძიებას.

ორი ინსტიტუციონის მექანიზმის პარტნიორობის საფუძველზე შეიქმნა გენდერული თანასწორობის ეროვნული კონცეფციის პროექტი და წარედგინა პარლამენტს განსახილველად. პარლამენტის მიიღო გენდერული თანასწორობის კონცეფცია. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეროვნული კონცეფციის შესაბამისად ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მიღების შესახებ. სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა ა/ო-ებისა და ინსტიტუციონური მექანიზმების წარმომადგენლებისგან, შეიმუშავა სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელშიც 6 პრიორიტეტული სფერო იყო გათვალისწინებული. ამავე დროს მოქმედება შეწყვიტა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიამ, რომელიც მუშაობდა სამინისტროსთან ერთად ევროპულ და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე. უველა გენდერული საკითხები აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ამის შემდეგ არ განხორციელებულა არანაირი ახალი ონბისძიებები ეროვნული სამოქმედო გეგმის დასრულებისა და მისი პარლამენტისთვის განსახილველად წარდგენის მიმართულებით.

ძირითადი პრობლემა, როგორც ჩანს არის როგორც განხორციელების მექანიზმების და მიღებუ-

ლიეროვნული კონცეფციის განხორციელებისთვის ბიუგეტის არარსებობა, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მდგომარეობის გაუმ-მ

ჯობესებისთვის ღონისძიებების და აუცილებელი ცვლილებების ლობირების განუხორციელებლობა.

1.3. ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში

ქალები და პოლიტიკა

პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც მოქალაქები ახორციელებენ მათ საარჩევნო უფლებებს, მოცემულია კონსტიტუციის 28-ე მუხლში და არჩევნების შესახებ პარლამენტის აქტში. საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში და სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი და რომელიც, სულ მცირე, 10 წლის მანძილზე უწყვეტად ცხოვრობდა საქართველოში, შეუძლია არჩეულ იქნას პარლამენტში, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წილებრივი მდგომარეობისა და ა. შ. საქართველოს კანონის მიხედვით, ქალებს ხმის იგივე უფლებები აქვთ, რაც მამაკაცებს ყველა არჩევნებში და ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ პროცესში.

თუმცა, ქალები ნაკლებად ჩანან მნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობებზე. 1998 წლის ნოემბრის მონაცემებით, სახელმწიფო ორგანოებში ქალები მხოლოდ 11%-ს შეადგენს.

ქალები ხელმძღვანელ თანამდებობებზე

2004 წელს ქალების წარმომადგენლობა პარლამენტში 7.2%-დან 9.5%-მდე გაიზარდა. საქართველოს პარლამენტის სპიკერი ქალია. ასევე ქალია უმრავლესობის ფრაქციის ლიდერიც და 13 საპარ-

ლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეთაგან 2.

2005 წელს კაბინეტის 17 წევრიდან 3 ქალი იყო, მაშინ, როცა წინა მთავრობაში მხოლოდ 2 ქალი იყო კაბინეტში (11%).

ქალები ნაკლებად ჩანან ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2005 წლის მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ქალები მხოლოდ 12%-ს შეადგენს. არ არის არც ერთი ქალი მერი და ქალები წარმოადგენს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა მხოლოდ 7%-ს. ქალები შეადგენს სახელმწიფო კანცელარიის შტატის 55.8%-ს, ბარლამენტის წევრთა 9.5%-ს და ბარლამენტის შტატის 60.8%-ს.

ქალები ძალზე აქტიურნი არიან ა/ო-ებში. პეკინის კონფერენციამდე საქართველოში 34 ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია იყო. ახლა მათი რაოდენობა 180-ს აღემატება.

უნივერსიტეტების დონეზე, ქალები წარმოადგენს ფაკულტეტის 45%-ს. არის სამი ქალი და 36 მამაკაცი ერქეტორი, 14 ქალი და 66 მამაკაცი პრიორექტორი და 58 ქალი და 218 მამაკაცი დეკანი უმაღლეს სასწავლებლებში. 120 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან, სადაც ქალები შტატის 60%-ს შეადგენს, მხოლოდ ორი ინსტიტუტის დირექტორია ქალი.

არის 132 ქალი მოსამართლე, რაც მოსამართლეთა მთლიანი რიცხვის 38.2%-ს შეადგენს, თუმცა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არა-სოდეს არ ყოფილა ქალი.

მართალია თეორიულად ადგილი აქვს გენ-

დერულ თანასწორობას, პრაქტიკულად სიტუაცია საპირისპიროა იმ ქალებისთვის, რომლებსაც სურთ ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავება და მათი კარიერული ზრდა ბრკოლდება. ქალთა არასამთავრობო ორგანზაციების ინიციატივების შედეგად გასული ხუთი წლის განმავლობაში ქალთა აქტიურობა გაიზარდა. თუმცა, თითქმის ყველა ეს არასამთავრობო ორგანზაცია მუშაობს დედაქალაქში და მათი საქმიანობა ვერ სწორდება სოფლის მოსახლეობას, რომელიც რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაშია. სოფლად ქალები ძირითადად დაკავებული არიან საოჯახო მეურნეობით, რაც მათი ოჯახის გადარჩენის ერთადერთი წყაროა და მათ ნაკლებად იციან საკუთარი უფლებები. ამის გამო მათ ცოტა რამ შეუძლიათ გააკეთონ ქალების უფლებებისა და თანასწორობის დასაცავად.

ქალები და სამოქალაქო საზოგადოება

ოფიციალური მონაცემების მიხედვით საქართველოში დაახლოებით 4000 არასამთავრობო ორგა-

ნიზაციაა, თუმცა, აქტიურად მათგან მხოლოდ 600 მუშაობს. პეკინის კონფერენციამდე საქართველოში 34 ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია იყო. კონფერენციის შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა. ამ სფეროში ქალები აქტიურად არიან ჩართული და ისინი წარმოდგენილი არიან გადაწყვეტილების მიღების დონეზე.

უნივერსიტეტების დონეზე ქალები შეადგენენ 45%-ს აკადემიის ყველა ინსტიტუტში. ქალი მეცნიერების საერთო რიცხვი 8000-ს შეადგენს, რაც თითქმის შეესაბამება მამაკაცი მეცნიერების რიცხვს. არის სამი ქალი და 36 მამაკაცი რექტორი, 14 ქალი და 66 მამაკაცი პროფესიონალი, 58 ქალი და 218 მამაკაცი დეკანი და დეკანის მოადგილე უმაღლეს სასწავლებლებში. ქალი პროფესორების რიცხვი 225-ს შეადგენს, მამაკაცების – 613-ს. 120 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან, სადაც ქალები შტატის 60%-ს შეადგენენ, მხოლოდ ორი ინსტიტუტის დირექტორია ქალი.

1.4. ქალების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა

ქალები და ბიზნესის სექტორი

მსხვილი საწარმოების მფლობელებს შორის ქალები არ არიან. რაც შეეხება მცირე ბიზნესს, 341 სასოფლო-სამეურნეო და სასურათო პროდუქციის გადასამუშავებელ საწარმოს შორის 57 ქალებს ეკუთვნის, ასევე 3897-დან 1254 კომერციული საწარმო, 164-დან 2 ნავთობის მრეწველობის საწარმო, 396-დან 85 ქანდაკვის დაწესებულება და 396-დან 41 სოციალური სფეროს დაწესებულება ეკუთვნის ქალებს. ამგვარად, უნდა განხორციელდეს ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა სამეწარმეო საქმიანობას.

მნიშვნელოვანია, რომ იმ ორგანზაციებში,

რომლებსაც შეეხებათ ეკონომიკური პოლიტიკა, ძალზე მცირეა ქალების წილი უმაღლეს თანამდებობებზე, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას განახორციელონ ეს პოლიტიკა.

ქალები ჩართული არიან საბანკო სექტორში, სადაც ისინი 48%-ს შეადგენენ. ქალის საშუალო ხელფასი ამ სექტორში 80.80 ლარს შეადგენს, რაც საშუალო ინდიკატორის 92%-ია (წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი).

მცირე ბიზნესში (მაგ. მაღაზიები, კაფეები, რესტორნები და სასტუმროები) ქალები და მამაკაცები ერთნაირად არიან წარმოდგენილი, თუმცა, მსხვილ ბიზნესში ქალების რაოდენობა

გაცილებით ნაკლებია. ქალებს შეიძლება ჰქონდეთ ბიზნეს პროექტები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მსხვილი ბიზნესის დაწყება, რადგანაც მათ არ გააჩნიათ სათანადო მხრდაჭერა. ოფიციალურად რეგისტრირებულ ბიზნესში და სახელმწიფო ორგანიზაციებში მომუშავე ქალები უმცირესობაში არიან. ე.ი. დასაქმებული ქალების 30%-ს შეადგენენ. ეს თანაფარდობა ისეთივეა, როგორიც საბჭოთა დროს იყო. ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, მასმედიაში დასაქმებულ უურნალისტთა ორ მესამედს ქალები შეადგენენ. ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა ამ სფეროში წამყვან და აღმინისტრაციულ თანამდებობებზე ქალების რიცხვი. იგივე შეიძლება ითქვას სარეკლამო ბიზნესზე, რომელშიც ახალგაზრდა ქალები არიან დაკავებული.

ეკონომიკური რესურსებისა და შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობა

ქალების შრომითი ძალების მონაწილეობა უფრო მცირე იყო, ვიდრე მამაკაცების, თუმცა, უმუშევრობის მაჩვენებელი უფრო მაღალია მამაკაცებისთვის (17%, 13%-თან შედარებით, 2002 წ.). 6 სოფელში მცხოვრებ ქალთა ორმოცი პროცენტი მუშაობს ანაზღაურების გარეშე საოჯახო საწარმოებში. USAI-ის მონაცემების მიხედვით, ქალების მიერ გამომუშავებული შემოსავალი მამაკაცების ხელფასის დაახლოებით 41%-ს შეადგენს. სკოლამდელი დაწესებულებების და გახანგრძლივებული სასკოლო სწავლების დაწესებულებების სისტემის რღვევამ გარკვეული როლი შეასრულა ქალების სრული დასაქმების შემცირებაში.

ცხრილი 3: ეკონომიკური და საწარმოო რესურსების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები: საქართველო

ეკონომიკური და საწარმოო რესურსების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები საქართველოსთვის

ქალებისა და მამაკაცების შრომითი ძალების მონაწილეობის თანაფარდობა (2003 წ.)	0.84
--	------

ქალებისა და მამაკაცების შრომითი ძალების მონაწილეობის თანაფარდობის წლიური ზრდა (1990 – 2003 წწ.)	0.47
---	------

წყარო: მსოფლიო ბანკი.

დამატებითი ინფორმაცია იხ. ასევე მე-2 ცხრილში.

ნ ა ნ ი ლ ი 2

ევროკავშირის განვითარების დახმარების გენდერული პერსპექტივა

2.1. ევროგაერთიანების განვითარების მიმდინარე პროგრამები

ზოგადი ფარგლები

საქართველოში მმართველობის სერიოზული პრობლემების ფონზე 2002 წელს ადამიანთა გატაცების შემთხვევებს ჰქონდა აღვილი, რის გამოც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტის (CSP) რიგგარეშე გადასინკვის შესახებ. საქართველოსთვის მომზადდა ახალი სტრატეგიული დოკუმენტი, პროგრამა ინდიკატორებით 2004-2006 წლებისთვის. ეს დოკუმენტები კომისიამ 2003 წლის 23 სექტემბერს მიიღო. სტრატეგიული დოკუმენტის ჩატარების დირითადი მიმართულებები ითვალისწინებს, რომ ევროგაერთიანების დახმარებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების შესრულება

- დახმარების „პირობითობის“ მნიშვნელოვნად განმტკიცება.
- დახმარების უფრო მეტად კონცენტრაცია რეფორმის ყველაზე პერსპექტიულ პროგრამებზე.
- სამოქალაქო საზოგადოების უფრო ძლიერი მხარდაჭერა.

2004-2006 წლებისთვის ევროგაერთიანების დახმარების თემატური პრიორიტეტები (ყველა ინსტრუმენტები):

- კანონის უზენაესობა, სათანადო მართვა, ადამიანის უფლებები და დემოკრატიული ინსტიტუტები.
- სილატაკის წინააღმდეგ ბრძოლა.
- კონფლიქტების პროფილაქტიკა, კონფლიქტების მოგვარება და კონფლიქტების შემდგომი რეაბილიტაცია.

კომისიამ „ვარდების რეგოლუციის“ საპასუხოდ უზრუნველყო გარკვეული დახმარება და განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება მისი ინსტრუმენტების უკეთ მობილიზაცია ახალ სიტუაციაში დამატებითი რესურსების განთავსების ჩათვლით. 2003 წლის დეკემბერში კომისიამ გადაწყვიტა გამოეყო 2 მილიონი ევრო სწრაფი რეაგირების ფონდისთვის UNDP-ის მეშვეობით, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის (4 იანვარს და 28 მარტს, შესაბამისად) და 5 მილიონი ევრო საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის პროგ-

რამიდან, როგორც საბიუჭეტო დახმარება ზამთრის თვეების განმავლობაში.

საქართველო ასევე დახმარებას მიიღებს Tacis-ის რეგიონალური თანამშრომლობის პროგრამიდან (სახელმწიფოთაშორისო პროგრამიდან).

წარსულში გაწეული დახმარება

1992 წლიდან ევროგაერთიანებამ მხარდაჭერა გაუწია საქართველოს მთელი რიგი ინსტრუმენტების მეშვეობით. ძირითადი ინსტრუმენტები იყო: ECHO-ის ჰუმანიტარული დახმარება (92 მილიონი ევრო, 1992-2002 წწ.); სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა (59 მილიონი ევრო, 1992-2002 წწ.); Tacis-ის ეროვნული პროგრამა (84 მილიონი ევრო, 1992-2002 წწ.). ევროგაერთიანების დახმარების საერთო თანხა შეადგინდა 370 მლნ. ევროს (Tacis-ის რეგიონალური და წევრი ქვეყნების დახმარების გარეშე).

Tacis-ის პროგრამა

2002-2001 წწ. Tacis-ის ეროვნული სამოქმედო პროგრამა (AP, სულ 15 მლნ. ევრო) კონცენტრირებული იყო სამ პრიორიტეტულ სფეროზე: (1) ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმების მხარდაჭერა; (2) კერძო სექტორის განვითარება და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და (3) ინფრასტრუქტურის შელების განვითარება.

2002-2003 წლებში, Tacis-ი, 14 მლნ ევროს ოდენობის ინდიკატორი ბიუჯეტით, კონცენტრირებული იყო ინსტიტუციური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმის მხარდაჭერაზე, ასევე გარდამავალი პერიოდის სოციალური შედეგების დაძლევის მხარდაჭერაზე. ეს ითვალისწინებდა PCA-ს განხორციელებისთვის კანონმდებლობის შესწორების უწყვეტ მხარდაჭერას. გარდამავალი პერიოდის სოციალური შედეგების დაძლევის მხარდაჭერა მიმართული იყო ჭანდაცვის სექტორისკენ და მოიცავდა ჭანდაცვის რესტრუქტურიზაციის პროგრამის მხარდაჭერას.

საქართველო ასევე მონაწილეობს Tacis-ის რეგიონალურ პროგრამებში, როგორიცაა Traceca,

Inogate და სამხრეთ კავკასიის ეკოლოგიის რეგიონალური ცენტრი, რომელიც თბილისშია განთავსებული.

განსაკუთრებული ფინანსური დახმარება

1998 წლის ივლისში საქართველომ დაფარა თანამეგობრობის ვალის დარჩენილი ნაწილი (131 მილიონი ევრო). შემდგომ ქვეყანამ მიიღო დახმარების ახალი პაკეტი, რომელიც შედგებოდა 110 მლნ ევროს ოდენობის სესხის და 65 მლნ ჭამური ოდენობის გრანტისგან, რომელიც უნდა გაცემულიყო 1998-2004 წწ. პერიოდში.

სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა (FSP)

1996-1999 წწ. პერიოდში სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამიდან საქართველომ მიიღო 24 მლნ. ევრო. 2000 წლიდან სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამამ ნაწილობრივ შეცვალა მიმართულება დამხმარე სიღარიბის დაძლევის კომპონენტის მხარდაჭერის სასარგებლოდ, სოციალური უსაფრთხოების ქსელის მეშვეობით შემდეგი ფორმით: (ა) რესურსების განთავსება ოწახების სიღარიბის დაძლევისთვის; (ბ) ინსტიტუციონალური დახმარება. 2002-2003 წლებში გამოიყო 13 მლნ ევრო.

რეაბილიტაცია

ევროგაერთიანების დახმარება საქართველოსათვის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში შეეხებოდა როგორც ცხინვალის რეგიონს (სამხრეთ ოსეთს), ასევე აფხაზეთსაც (ენგურის ჰიდროელექტროსადგური და კაშხალი).

სამხრეთ ოსეთი: 1997 წელს ევროკომისიამ გაითვალისწინა 5 მლნ ევროს ოდენობის გრანტის გადაცემა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შემდგომზონაში, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, და სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის სამშვიდობო პროცესის სტიმულირებისთვის. 1999 წ. ევროკომისიამ გამოყო ახალი გრანტი, 2.5 მლნ ევროს ოდენობით, პირობების დამტკიცებისა და შესრულების შემდეგ. ამ პროგრამით განპირობებული დინამიკის გათვალისწინებით ევ-

როკომისიამ უზრუნველყო ფინანსური დახმარება და მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის ერთობლივ საკონტროლო კომისიაში (JCC), 2001 წ. აპრილიდან, ეს ოთხმხრივი ორგანო (საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსეთის მონაწილეობით) შეიქმნა ეუთოსთან.

ენგური: 1997 წელს ევროკომისიამ გამოყო 120 მლნ ევრო ენგურის ჰიდროელექტროსადგურისა და კაშხალის გადაუდებელი რემონტისთვის (№3 გენერატორის რემონტი და კაშხალის შანდორი), ორ ტრანზის, თითოეული 5 მლნ ევროს ოდენობით, რეაბილიტაციას ბიუჯეტის ფარგლებში. ეს იყო დამატებითი დახმარება ენგურის რეაბილიტაციის პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებდა 44.5 მლნ ევროს სესხს, ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკიდან.

ჰუმანიტარული დახმარება (ECHO)

ECHO წარმოდგენილია ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების რეგიონში ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან, მისი ძირითადი მანდატის შესაბამისად (ჰუმანიტარული დახმარება სტრიქური უბედურებებისა და ანთროპოგენული კატასტროფების დროს). 1993 წლიდან 1999 წლამდე, მნიშვნელოვანი იყო ECHO-ს ოპერატორი დაფინანსება სამხრეთ კავკასიის რეგიონში და შეადგენდა 64.255 მლნ ევროს ჰუმანიტარულ დახმარებას სომხეთისთვის, 83.34 მლნ ევროს საქართველოსთვის და 82.96 მლნ ევროს აზერბაიჯანისთვის.

ECHO-ს გამოსვლა საგანგებო მდგომარეობის შემდგომი პროგრამიდან სამხრეთ კავკასიაში დაიწყო 1996 წელს და დასრულდა 2000 წ. როდესაც უკანასკნელად გადასცა 3.855 მლნ ევრო ამ სამშევანას.

2000-2001 წლებში ECHO-მ გამოყო საერთო ჯამში 2.35 მლნ ევრო საქართველოში გვალვის შედეგების დასაძლევად.

ევროპის ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის (EDIHR)

2002 წ., საქართველო, რომლისთვისაც გამოიყო 1.9 მლნ ევრო, EDIHR-ის უურადღების ცენტრში იყო.

1992-2006 წწ. პერიოდში ევროგაერთიანებამ ევროკომისიის მეშვეობით უზრუნველყო საერთო ჯამში 502 მლნ ევროს ოდენობის დახმარება საქართველოსთვის.

გენდერული საკითხებისა და ქალთა უფლებების პროგრამების შემუშავება და ტექნიკური დახმარება, საქართველოსთვის.

ევროგაერთიანების განვითარების დახმარების უველაზე დიდი პროგრამა არის ე.წ. Tacis-ის პროგრამა. მასზე მოდის უველა მიმდინარე პროგრამის 69.4%, ამ ნუსხაში მეორეა სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა 20 მლნ ევროთი (სულ 19.88%), 2005 წლის იანვრიდან 2006 წ. დეკემბრამდე პერიოდში (ამ ციკლის დროს პროგრამა მიმართულია სოციალური დაცვის, სოფლის განვითარებისა და სასურსათო უზრუნველყოფის საკითხებზე და ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ).

არის ორი განვითარების პროგრამა, რომელთა ფარგლებში 2006 წ. განხორციელდა ქალებზე კონცენტრირებული პროექტები:

- ევროპის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ინიციატივა (EIDHR), რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 4 487 026 ევროს, რაც მთლიანი დახმარების 45.46%-ია; და
- დეცენტრალიზებული თანამშრომლობა (უველა პროექტები კონცენტრირებულია აფხაზეთზე), რომელიც ითვალისწინებს 824 384 ევროს უველა პროექტისთვის. ამ პროგრამაზე მოდის ევროგაერთიანების განვითარების დახმარების მთელი თანხის 0.82 %.

უშუალოდ ქალებზე ორიენტირებული პროექტების მთლიანი რიცხვია 7, ხოლო საქართველოში განხორციელებული პროექტების მთლიანი რაოდენობაა 121. უშუალოდ ქალებზე კონცენტრირებული პროექტების დაფინანსების თანხა 368 238 ევრო, რაც 6 პროგრამის მთლიანი დაფინანსების 2.6%-ს შეადგენს.

ცხრილი 4. უშუალოდ ქალებზე ორიენტირებული პროექტები

პროგრამა	ძირითადი სიტყვები	პროექტის დასახელება	ამოცანა	შემსრულებელი	თანხა	თარიღები
EIDHR MICRO	აფხაზეთი – EIDHR	დაუცველი ჭგუფების უფლებების დაცვა და ხელშეწყობა	ეს პროექტი ითვალისწინებს დაუცველი ჭგუფების უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას აფხაზეთში	ქალთა ასოციაცია აფხაზეთში	47 760	2005 წ. ივლისი – 2007 წ. ივლისი
DECENTRALISED COOPREATION	ადამიანის უფლებები და დემოკრატია	ქალთა უფლებები და გენდერული სტერეოტიპები	ქალთა ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფა და მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, ადგილობრივ დონეზე	საერთაშორისო ფონდი "Helpers"	39 938	2005 წ. თებერვალი – 2006 წ. თებერვალი
DECENTRALISED COOPREATION	ადამიანის უფლებები და დემოკრატია	ქალების სამართლებრივი ხელშეწყობის ცენტრების გახსნა დამანისას და წალკაში	ქალთა სამოქალაქო უფლებების ხელშეწყობის ეთნიკურ უმცირესობებში	მრავალეროვანი საქართველოს ქლოთა ასოციაცია	48 648	2005 წ. თებერვალი – 2007 წ. თებერვალი
EIDHR MICRO	აფხაზეთი – დეცენტრალიზებული თანამშრომლობა	ქალთა ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის საშუალებები – ბიზნეს-ინკუბატორების დაარსება	ეს პროექტიმხარსუჭერს ბიზნეს დაგეგმვისა და ბიზნესისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას მცირე და საშუალო საწარმოებში, ქალებისათვის, აფხაზეთში	აფხაზეთის საქმიან ქლოთა კავშირი	49 695	2006 წ. სექტემბერი – 2007 წ. დეკემბერი
EIDHR MICRO	აფხაზეთი – დეცენტრალიზებული თანამშრომლობა	სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა ადგილობრივ ორგანოებთან, ადამიანის უფლებებისა და ქალთა უფლებებისა სფეროებში	პროექტი მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობას ადგილობრივ ორგანოებთან, ადამიანის უფლებებისა და ქალთა უფლებების სფეროებში	ქალთა ასოციაცია აფხაზეთში	50 000	01/09/2006-01/01/2008
DECENTRALISED COOPREATION	აფხაზეთი – დეცენტრალიზებული თანამშრომლობა	მუხლი 19 – საერთაშორისო ცენტრი ცენტრის წინაღმდეგ – შესაძლებლობების განმტკიცება აფხაზეთში სათანადო მუნიციპალიტეტისათვის მმართველობისთვის	პროექტი ხელს უწყობს შესაძლებლობების განმტკიცების ღონისძიებებს სათანადო მუნიციპალური მმართველობისთვის აფხაზეთში, განსაკუთრებული ყურადღებით ინფორმაციის თავისუფლების და ქალთა საკითხების მიმართ სოხუმში, გუდაუთისა და ტევარჩელის რაიონებში	მუხლი 19 – საერთაშორისო ცენტრი ცენტრის წინაღმდეგ	97 000	2005 წ. თებერვალი – 2007 წ. თებერვალი
DECENTRALISED COOPREATION	აფხაზეთი – დეცენტრალიზებული თანამშრომლობა	აფხაზეთში თვისუფალი და დამოუკიდებელი მედიის განვითარება	ეს პროექტი ხელს უწყობს თავისუფალი და დამოუკიდებელი მასშედიის განვითარებას, ტრენინგისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ღონისძიებების მეშვეობით	სოხუმის მედია კლუბი	35 197	2005 წ. თებერვალი – 2007 წ. თებერვალი

წყარო: ევროკომისიის დელეგაცია სომხეთსა და საქართველოში

(http://www.delgeo.cec.eu.int/en/programmesactions/full_listprojects.html) please specify: name, publisher, city, date of the report and if possible – internet site.

ასევე არის 3 პროექტი, რომლებსაც ქალთა უფლებებზე კონცენტრირებული ძლიერი გენდერული კომპონენტი აქვს, მათგის ჯამში გამოყოფილია 499 214 ევრო, რაც მთლიანად გამოყოფილი დაფინანსების 2.8%-ს შეადგენს.

ცხრილი 5. პროექტები, რომლებიც არაპირდაპირ შეეხება ქალებს

პროგრამა	ძირითადი სიტყვები	პროექტის დასახლება	ამოცანა	შემსრულებელი	თანხა
EIDHR MICRO	ადამიანის უფლებები და დემოკრატია	ადამიანების ტრეფიკინგის პროფილაქტიკა და ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა	ტრეფიკინგთან ბრძოლა საქართველოში	Peoples Harmonius Development Society	50 000
ECHO	ECHO – ჰუმანიტარული დახმარება	ადგილობრივი რეპროდუქციული წანმრთელობის დაცვა სამეგრელოს რეგიონში	ეს პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივ რეპროდუქციული წანმრთელობის დაცვას სამეგრელოს რეგიონში	Medicins du Monde	300 000
SANTE (განვითარებად ქვეყნებში რეპროდუქციული და სქესობრივი წანმრთელობის დაცვასთან და უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და ღონისძიებების დახმარების პროგრამა)	განდაცვა	რეპროდუქციული წანმრთელობის დაცვის ინიციატივა ახალგაზრდებისთვის, კავკასიაში	რეგიონის ახალგაზრდების სქესობრივი და რეპროდუქციული წანმრთელობის გაუმჯობესება და მათი უფლებების დაცვა	UNFPA	149 214

წყარო: ევროკომისიის დელეგაცია სომხეთსა და საქართველოში

(http://www.delgeo.cec.eu.int/en/programmesactions/full_listprojects.html) please specify: name, publisher, city, date of the report and if possible – internet site.

2.2. ევროგაერთიანების წევრები და განვითარების დახმარება

ევროგაერთიანების წევრების მიერ საქართველოში დაფინანსებული პროგრამები მოიცავს მრავალ სფეროს, თუმცა მათში ნაკლებადაა გენდერული მიმართულებები და პერსპექტივები, როგორც პრობლემური სფეროების, ასევე განხორციელების მექანიზმების თვალსაზრისით. იხ. ქვემოთ შესაბამისი შერჩეული სტატისტიკა.

სქემა 1. ევროგაერთიანების წევრები და განვითარების დახმარება საქართველოსთვის


Georgia

Receipts	2003	2004	2005
Net ODA (USD million)	226	314	310
Bilateral share (gross ODA)	67%	62%	58%
Net ODA / GII	5.6%	6.0%	4.7%
Net Private flows (USD million)	661	32	- 43

For reference	2003	2004	2005
Population (million)	4.6	4.5	4.5
GII per capita (Atlas USD)	860	1 060	1 350

Top Ten Donors of gross ODA (2004-05 average) (USD m)	
1 United States	83
2 IDA	63
3 Germany	56
4 EC	36
5 SAF & ESAF (IMF)	31
6 France	11
7 Netherlands	10
8 Japan	9
9 Switzerland	7
10 Norway	7

Bilateral ODA by Sector (2004-05)



Sources: OECD, World Bank.

(http://www.oecd.org/statisticsdata/0,2643,en_2649_34447_1_119656_1_1_1,00.html; <http://www.oecd.org/dataoecd/21/39/1881067.gif>).

2.3. განვითარების სხვა პროგრამები და განვითარების დახმარების წყაროები

UNIFEM-მა შეწყვიტა საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში 2006 წელს. ბოლო წლების განმავლობაში ფონდი ქალთა ორგანიზაციებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დონორია ქვეყანაში და რეგიონში. 2004 წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხების ჯამური რაოდენობა 38 521 აშშ დოლარს შეადგენდა, 2005 წ. – 184 476 აშშ დოლარს, 2006 წ. – 68 833 აშშ დოლარს. დაფინანსებული პროგრამების უმეტესობა კონცენტრირებული იყო სამშვიდობი ინიციატივებზე და ქსელის „ქალთა ერთიანობა მშვიდობისთვის“ მხარდაჭერაზე.

UNDP

პროგრამა გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

ბიუჯეტი 900 000 აშშ დოლარი

სანგრძლივობა 3 წელი

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ანალოგიური საზოგადოებრივი და ინსტიტუციონალური მაჩვენებლებია, როგორებიცა სილარიბის მაღალი დონე, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალების წარმოდგენის დაბალი მაჩვენებლები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდულობა. სამივე ქვეყანაში პრევალირებს ტრადიციული გენდერული სტრუქტურა. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა, კონფლიქტის შედეგებმა, მამაკაცებისა და ქალების როლებსა და შესაძლებლობებზე განსხვავებული ზემოქმედება მოახდინა. ტრადიციული გენდერული როლები უფრო მეტადაა გამოვეთილი სოფლად ქალაქებთან შედარებით. UNDP-მ ეროვნულ დონეზე მოახდინა რამდენიმე გენდერული პროექტის ფასილიტაცია, მათ შორის შესაძლებლობის განმტკიცების, ინფორმირებულობის გაუმჯობესების და სამთავრობო პოლი-

ტიკაში გენდერული მიმართულების პროექტები. სხვადასხვა პროექტების საქმიანობის შედეგია ეროვნული სამოქმედო გეგმების დამტკიცება საქართველოსა და სომხეთში. დაარსდა კონტაქტების ფართო ქსელი UNDP-სა და გენდერულ და ქალთა საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეფასებით პროექტმა ვერ უზრუნველყო მოსალოდნელი შედეგების მიღწევა, რამდენადაც ინსტიტუციონალური მექანიზმების სისტემა გაცილებით უფრო სუსტია საქართველოში, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების მოქმედი პირები უფრო აქტიური არიან და უფრო მეტად სჭირდებათ მხარდაჭერა.

USAID

USAID-ის მიერ დაფინანსებული მომავალ ქალიდერთა პროგრამა დაიწყო 2003 წელს. პროგრამა მიზნად ისახავს ქალების პოლიტიკური აქტიურობის გაზრდას და მათი კარიერული ზრდის მხარდაჭერას, მათთვის საჭირო კვალიფიკაციისა და ცოდნის უზრუნველყოფის გზით, მთელი წლის განმავლობაში ორგანიზებული ტრენინგებისა და სემინარების მეშვეობით.

ქალთა გენდერული როლების მიზნების მეორე გამოშვება იყო. გენდერული შედიოდნენ აქტიური ქალები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, რომლებიც სხვადასხვა პროფესიული საქმიანობით იყვნენ დაკავებული, მათ შორის საქართველოს აღმასრულებელ მთავრობაში, საკრებულოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ბიზნესის სფეროში მომუშავე ქალები.

2.4 არასამთავრობო ორგანიზაციები და განვითარების დახმარება

ამომრჩევლებთან კავშირის გამო, ა/ო-ებს გააჩინათ პოტენციალი დახმარება გაუწიონ ხელისუფლებას ქალთა უფლებებთან და სტატუსთან დაკავშირებით, ასევე რეგიონში ქალებისთვის უფლებამოსილების უზრუნველყოფის თაობაზე ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. რეგიონებში ა/ო-ებს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი, როგორც შუამავლებს შესაბამისი მოქალაქეებისთვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ სფეროში, ზემოქმედება მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და ბევრ შემთხვევაში უზრუნველყონ ქალთა უფლებების ხელშეწყობა. რეგიონში ცვალებადი სიტუაციის გათვალისწინებით არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო ხელსაყრელი პოზიცია აქვთ და ხშირად უფრო მოქნილი არიან, შესაბამის მთავრობებთან შედარებით ისეთი პროექტების წამოწყებისა და განხორციელების საქმეში, რომლებიც ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას საჭიროებს. თუმცა, იმისათვის, რომ ა/ო-ების მონაწილეობა განვითარების პროცესში ეფექტური იყოს, მათი მანდატის რეალიზაციისთვის აუცილებელია ხელშეწყობი საკანონმდებლო, მარეგულირებელი, ინსტიტუციონალური და პოლიტიკური გარემოს შექმნა. მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ასეთი გარემოს შექმნა.

არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორის განვითარება რეგიონში საწყის ეტაპზეა. ქალები ამ ორგანიზაციებში სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს ასრულებენ და არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორში ისინი წევრთა უმრავლესობას შეადგენენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გარდამავალ პერიოდში გაჩნდა ორი ერთმანეთის საპირისპირო ტენდენცია ქალებისათვის პოლიტიკაში: ერთის მხრივ, (ეროვნულ თუ ადგილობრივ) მთავრობაში თანამდებობების ქალებისთვის ხელმისაწვდომობის მკვეთრი შემცირება და მეორეს მხრივ არაფორმალურ პოლიტიკაში, სამოქალაქო

საზოგადოების შექმნასა და არასამთავრობო ორგანიზაციებში ქალების მონაწილეობის უპრეცედენტო ზრდა⁹. ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ქალთა უფლებებისა და თანასწორობის სფეროში¹⁰, შეადგენენ საქართველოში რეგიონალური ორგანიზაციების 10-12 პროცენტს.

მიუხედავად ამისა, საქართველოში მესამე სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა და გაფართოვდა გეოგრაფიულად. ამჟამად, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში აქტიურად მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა ბევრ მათგანს სერიოზული სირთულეები აქვს. არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი იზრდება, თუმცა, ასევე იზრდება სექტორიში რთული ამოცანების რიცხვიც. ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას ჯერ კიდევ აქვს პროგრამული და ფინანსური სტაბილურობის, ასევე საზოგადოებრივი იმიგის პრობლემა. ამის გარდა, სხვადასხვა სექტორებს შორის პარტნიორობა იშვიათია და შემთხვევით ხასიათს ატარებს.

სამოქალაქო სექტორიში კვლავ არსებობს საქართვის მნიშვნელობის ხელმისაწვდომობის პრობლემა. ასევე ძალზე მწვავედ დგას მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების საკითხი. ბევრ შემთხვევაში მაღალკვალიფიციური კადრები საერთაშორისო ან სამთავრობო ორგანიზაციებში გადადიან. აღსანიშნავია, რომ სამთავრობო ორგანიზაციებში გადასვლის ტენდენცია გაძლიერდა რევოლუციის შემდგომ პერიოდში.

მასმედია არ აქცევს სათანადო ყურადღებას არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას და იმ როლს, რომელსაც ეს ორგანიზაციები ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოებაში. ამ სექტორს რამდენადმე უარყოფითი იმიგი შეექმნა. ამის გარდა, მედიას არ შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის შექმნას, თავად არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ხშირად არა აქვთ საკმარისად მჭიდრო კონტაქტები მათ მოსარგებლეებთან, ზო-

გიერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციის გამოკლებით. შესაბამისად, ჭერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა პოზიტიური საზოგადოებრივი აზრი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. საქართველოს რამდენიმე რეგიონში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ცნობილი არაა. ბიზნესი და მთავრობა საკმარისად არ აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

საქართველოში არსებული ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგების მიხედვით, აღნიშნული პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციების მხოლოდ 27.3%-ს გააჩნია საკუთარი სამუშაო ფართობი, საკმარისი მატერიალური ბაზა, მათ შორის, ორგტექნიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური დღის წესრიგი და გრანტების გაცემისა და სახსრების მოზიდვის პერსპექტიული დაგეგმვა. გამოკვლევამ ასევე გამოავლინა, რომ დარჩენილი

62.7%-ი განიცდის ყოველივე ამის ნაკლებობას. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით 112 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც გენდერულ და ქალთა საკითხებზე მუშაობს ქალთა საინიციატივო გუფებთან ერთად, განისაზღვრა როგორც ძირითადი მიზნობრივი გუფი, რომლებიც ოფიციალურად არ არიან რეგისტრირებული როგორც იურიდიული პირები.

ევროგაერთანების განვითარების დახმარება არ ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებას. არასამთავრობო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ შეატყობინონ დონორ არგანიზაციებს მათი რეალური საჭიროებების შესახებ. როგორც აღინიშნა, ასევე არაა გამოქვეყნებული საერთო საჭიროებების შეფასება, საკმარისი არაა განვითარების დახმარების პროგრამების დაგეგმვასთან დაკავშირებით დიალოგი.

ნ ა ნ ი ლ ი 3

ახალი ფინანსური პერსპექტივები 2007-2013 წლებისთვის

3.1. ევროგაერთიანების მიერ დაგეგმილი განვითარების პროგრამები (2007-2013) და მოსალოდნელი ცვლილებები

როგორც განაცხადა კოლეტ სელმანმა¹¹, შემუშავებული არ იქნება გენდერულ თანასწორობაზე კონცენტრირებული რაიმე სპეციალური პროგრამები, რადგანაც საქართველოსთვის ევროგაერთიანების განვითარების დახმარების დელეგაციის გენდერული თანასწორობის მიმართულების მიდგომა გენდერული თანასწორობის საკითხების მოგვარების ძირითადი ინსტრუმენტი იქნება. ინსტრუმენტი, რომელსაც დელეგაცია გამოიყენებს, წარმოადგენს ევროკომისიის განვითარების თანამშრომლობის გენდერული თანასწორობის ძირითადი მიმართულების საშუალებათა კომპლექტს (Toolkit), რომელიც შემუშავებულია ევროგაერთიანების სტრუქტურაში 2004 წელს. მას გამოიყენებენ ყველა სახის მიმდინარე თუ დაგეგმილი პროგრამების და მათი შედეგების შესაფასებლად – არსებობს თუ არა რაიმე გენდერული მიკერძოება და არსებობს თუ არა რაიმე შესაძლებლობა გაძლიერდეს პროექტები გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პროგრამების შემუშავება მოხდება არა სექტორის მხარდაჭერის პროგრამის მიდგომით (მოქმედებების დახმარება), არამედ ფართო-სექტორული მიდგომით. ფართო სექტორული მიდგომა გულისხმობს, რომ მთავრობას გადაეცემა თანხები მთლიანად, ინდიკატორებთან და ბოლო ვადებთან ერთად. ევროკომისია უზრუნველყოფს დაფინანსებას რამდენიმე ტრანშის სახით. ყოველი შემდეგი ტრანში გადმოირიცხება შეთანხმებულ ვადებში მიზნების მიღწევის შემდეგ. ამგვარად, ევროკომისია აღარ ჩაერევა პროგრამებში და საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იქნება განვითარების პოლიტიკასა და ომატურ პროექტებზე, რომლებიც ორიენტირებული უნდა იყოს მოცემული ინდიკატორების მიღწევაზე და უნდა აკმაყოფილებდეს ევროკომისიის განვითარების თანამშრომლობის შემდეგ პრიორიტეტებს:

- კანონის აღმინისტრირება და მისი უზენაესობა (ადამიანის უფლებების ჩათვლით)

- ეკონომიკური განვითარება და ვაჭრობის რეგულირება
- სიღარიბის შემცირება
- კონფლიქტების მოგვარება

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ქალბატონი სელმანის მიხედვით, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციას, სხვა დელეგაციებთან შედარებით მცირე საერთო ბიუჯეტი აქვს. ამგვარად, ქალთა და / ან გენდერული თანასწორობის პროექტების მხარდაჭერა შეიძლება მოხდეს დეცენტრალიზებულად, პროპაგანდის დონეზე.

მომავალ წლებში ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში აპირებს იმაზე კონცენტრაციას, თუ როგორ გახადოს პროექტები უფრო მკაფიო – ეს ამჟამად აკლია პროექტებს.

დელეგაცია მოიცავს მე-3 და მე-4 MDG-ებს, თუმცა, არსებობს პრობლემების იდენტიფიკაციის სირთულე: საიმედო მონაცემების ნაკლებობა, მაგალითად, როგორ შეიძლება განისაზღვროს რა მოცულობის მხარდაჭერაა საჭირო. საიმედო სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, დახარისხების, დაცვის, გავრცელების სისტემები ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ქალთა და გენდერული თანასწორობის ორგანიაციების თვის საქართველოში.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP)

არსებობს ასევე ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP). ENP-ის ამოცანაა გაუზიაროს ევრო-

გაერთიანების სტაბილურობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა მეზობელ ქვეყნებს, მათთვის მშიდრო პოლიტიკური უსაფრთხოების, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთავაზების გზით. ის ასევე შესაძლებლობას მისცემს ამ ქვეყნებს მონაწილეობა მიიღონ ევროგაერთიანების პროგრამებში და გავიდნენ ევროგაერთიანების შიდა ბაზარზე, რაც უზრუნველყოფს მათი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ძლიერ მხარდაჭერას. ევროპის მეზობლობის პოლიტიკის და საქართველოს და სომხეთისთვის ENP-ის სამოქმედო გეგმის ამოცანები ასახულია ჩვენს თანამშრომლობის და გარეშე დახმარების პროგრამებში. ENP აღნიშნავს ევროგაერთიანების და პარტნიორ ქვეყნებს, საქართველოს და სომხეთს შორის ურთიერთობის ახალი თავის დაწყებას.

ამჟამად ევროგაერთიანება ამზადებს მრავალწლიანი ხარჯვის გეგმის პროექტს 2007-2013 წლებისთვის, რომელსაც ეწოდა „ფინანსური პერსპექტივა“. ეს გეგმა უზრუნველყოფს საკანონმდებლო ბაზას ევროგაერთიანების რესურსების განაწილებისთვის ამ ექვსი წლის განმავლობაში. 2007-2013 წლების ფინანსური პერსპექტივა ითვალისწინებს ამჟამად არსებული ყველა გეოგრაფიული და თემატური პროგრამის ჩანაცვლებას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე დასთ-ს ქვეყნებისთვის ევროკომისიის პროგრამების ჩათვლით. საქართველო ხვდება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საფინანსო და სტაბილურობის ინსტრუმენტის ქვეშ.

3.2. სხვა დაგეგმილი განვითარების პროგრამები და განვითარების დახმარების წყაროები

ეფროგაერთიანების წევრები

ნორვეგია

ნორვეგია უზრუნველყოფს 20 მილიონს UNDP-ის პროექტებისთვის სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, მომავალი სამი წლის განმავლობაში.

დიდი ბრიტანეთი

2004-2008 წწ. ბერიოდში, DFID საერთო ჯამში უზრუნველყოფს 11 მილიონ გირვანქას. მუშაობის სფეროები შემდეგია:

ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერა ღონისძიებებზე აგენტული ბიუჯეტის შედეგნაში (რაც მსოფლიო ბანკის სტრუქტურული რეგულირების კრედიტის ნაწილია);

რიგ სხვა პარტნიორებთან მუშაობის მხარდაჭერა კანდაცვის, სტატისტიკის, სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფის, სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების და (მცირე და მიკროსაკრედიტო საწარმოების და შემოსავლების ხელშეწყობის სფეროში) საკონკურსო გრანტების სქემის სფეროებში.

სხვა წყაროები

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციაში (MCC) დაამტკიცა ხუთწლიანი ხელშეწყობება საქართველოსთან, 295.3 მილიონ აშშ დოლარზე, რომელიც მიზნად ისახავს სიღარიბის დაძლევას და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას რეგიონებში, ქვეყნის დედაქალაქის, თბილისის ფარგლებს გარეთ – სამედიცინული და სამეცნიერო ცენტრების, განსაკუთრებული არასამუშავებელი და ბიზნესის, განსაკუთრებით აგრობიზნესის განვითარების ნელი ტემპი. ამ დაბრკოლებების დასაძლევად საქართველომ ფართომასშტაბიანი საკონსულტაციო პროცესის მეშვეობით შეიმუშავა პროგრამა, რომელიც კონცენტრირებულია რეგიონებში ინფრასტრუქტურის ჩამონახულის მდგრადირებით, ბანკების ხელშეწყობით, მომზადების განვითარებაზე. ამ პროგრამაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული გენდერული პერსპექტივები.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე და კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობაზე, 16 აგვისტოს გამოცემული MCC-ის დოკუმენტის შესაბამისად. სავარაუდოდ, ხელშეწყობებას ხელს მოაწერენ სექტემბერში.

დაფინანსება უზრუნველყოფს გზების, გაზადენის და სხვა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხარდაჭერას, ასევე საინვესტიციო ფონდს, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სარისკო კაპიტალის უზრუნველყოფად და გრანტებსა და ტექნიკურ დახმარებას ფერმერებისა და აგრობიზნესისთვის.

საქართველოში დედაქალაქის, თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მოსახლეობის 54% სიღარიცხუაში ცხოვრობს. ქართველებმა განსაზღვრეს ორი დაბრკოლება, რომლებიც ხელს უშლის სიღარიბის დაძლევას და ეკონომიკურ ზრდას რეგიონებში, თბილისის ფარგლებს გარეთ – სამედიცინული და სამეცნიერო ცენტრების, განსაკუთრებით აგრობიზნესის განვითარების ნელი ტემპი. ამ დაბრკოლებების დასაძლევად საქართველომ ფართომასშტაბიანი საკონსულტაციო პროცესის მეშვეობით შეიმუშავა პროგრამა, რომელიც კონცენტრირებულია რეგიონებში ინფრასტრუქტურის ჩამონახულის მდგრადირებით, ბანკების ხელშეწყობით, მომზადების განვითარებაზე. ამ პროგრამაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული გენდერული პერსპექტივები.

EBRR

2006 წ. 31 ოქტომბრის მდგომარეობით, ბანკმა ხელი მოაწერა საერთო ჯამში 64 საინვესტიციო პროექტს, რომლებიც შეეხება ენერგეტიკას, ტრანსპორტს, აგრობიზნესს, მრაველობას და საბანკო საქმეს, და რომელთა საერთო ღირებულებაა 389.5 მილიონი ევრო. საქართველოს სექტორის შვიდი

ხელშეწყობებას საფუძვლად უდევს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული წინადადებები. ის კონცენტრირებულია რეგიონებში

პროექტისთვის გათვალისწინებულია საერთო ჯამში 81.6 მლნ ევრო (20.9%), ხოლო კერძო სექტორის 57 პროექტისთვის გათვალისწინებულია 307.9 მლნ ევრო (79.1%). სუფთა პორტფელი შეადგენდა 254.8 მილიონ ევროს, საიდანაც 192.5 მლნ ევრო (75.5%) გადაირიცხა.

მომავალი სტრატეგიული პერიოდისთვის ბან-

კი შემდგომ ითვალისწინებს საქართველოში ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერას, ფისკალური და საგარეო მდგომარეობის ხელშეწყობას და რეფორმებისა და პრივატიზაციის შემდგომ წინსვლას. საქართველო ერთ-ერთთა ადრეული გარდამავალი ქვეყნების ინიციატივით (ETCI) გათვალისწინებული ქვეყნებიდან.

ნ ა ნ ი ლ ი 4

რეკომენდაციები ევროგაერთიანების წომისის, კარლამენტისა და ევროგაერთიანების წევრი ქვეყნებისთვის

განისაზღვრა კრიტიკული მნიშვნელობის შემდეგი ამოცანები:

- დაწესებულებებში იმის გააზრება, თუ რას ნიშნავს „ძირითადი გენდერული მიმართულება“, როგორ შეიძლება ამან იმოქმედოს დაწესებულების ყოველდღიურ მუშაობაზე და არაეფექტური გახადოს სტრატეგია;
- მონაცემთა სისტემები, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბებისას, იშვიათადაა გენდერულად სენსიტიური და ხშირად არ იძლევა სქესის მიხედვით დაყოფილ მონაცემებს;
- ფართოდ გავრცელდა „პოლიტიკის აორთქლება“, რაც ნიშნავს, რომ გენდერული მიმართულების კარგი პოლიტიკა ხშირად იკარგება პროგრამებად ჩამოყალიბებისა და მათი განხორციელების დროს.
- ცოდნის ნაკლებობა იმ ფაქტორების გასაგებად, რომლებიც მოქმედებს გენდერულად სენსიტიური პროგრამირების შესაძლებლობაზე, ართულებს პოლიტიკის აორთქლების პრობლემის დაძლევას;
- „გაუჩინარებას“ ადგილი აქვს, როდესაც

გენდერული მიმართულების კონკრეტული პოზიტიური შედეგები არაა სათანადოდ დაფიქსირებული პროგრამის მონიტორინგის და შეფასების დროს. ეს ნიშნავს, რომ უფროორთულია დასაბუთდეს გენდერული მიმართულების საჭიროება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დონორებსა და პარტნიორებს საქმე აქვთ „ჯვარედინი საკითხების“ არასათანადოდ ჩამოყალიბებულ დღის წესრიგთან და ვარაუდობენ, რომ ყველა საკითხი ამ მიმართულებისაა.

- ცვლილებების (ზემოქმედების) კონკრეტულ მიდგომებთან ან ინტერვენციებთან დაკავშირების სირთულე, განსაკუთრებით მრავალ-დონორიან და მაკრო-დონის პროგრამირების შემთხვევაში, რაც ართულებს გენდერული მიმართულების ანგარიშგებას.

რეკომენდაციები ზოგადი

- ეგროკომისის დელეგაციის, სხვა დონორებისა და მთავრობის პოლიტიკა თანას-

- წორ შესაძლებლობებთან, ქალებთან და განვითარებასთან დაკავშირებით, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს.
- ევროკავშირის დელეგაციის და სხვა პასუხურისმგებელი ორგანოებისა და სხვა განვითარების ორგანიზაციების დირექტორებმა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა საკამარისი ყურადღება უნდა დაუთმონ თანასწორობისა და თანასწორი შესაძლებლობების საკითხებს;
 - განვითარების ორგანიზაციაში ყველამ უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი გენდერულ თანასწორობას მათს საკუთარ პოლიტიკაში.
 - გენდერულმა ექსპერტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ადგილზე უნდა იყვნენ, რათა პასუხი გასცენ შეკითხვებს.
 - შემოღებული უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური პროგრამირების სახელმძღვანელო პრინციპები.

კონკრეტული

- დირექტივა № 806/2004, განვითარების თანამშრომლობაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის შესახებ უნდა გახდეს საფუძველი სპეციალური პოლიტიკის შემუშავებისა და ფონდების გამოყოფისთვის, ევროგაერთიანების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, ასევე პროგრამებში, რომლებიც ევროკავშირისა და გაეროს ორგანოებს შორის პარტნიორობას ეყრდნობა;
- ევროგაერთიანების დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ შესაძლებლობების განმტკიცების პროგრამები, ENP-ის ქვეყნების ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ევროგაერთიანების

გენდერული პოზიცია და ძირითად მიმართულებათა ძალისხმევის უკეთ გაგება;

- ევროკავშირის განვითარების დახმარებაში სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს ქალების სიღატაკის აღმოფხვრას, წანდაცვის საკითხებს და ქალების შემოსავლებთან დაკავშირებულ დარღვევებს, ისევე, როგორც MDG-ის მიღწევების ნაწილს;
- უნდა მოეწყოს კონსულტაციები „განვითარების პროგრამა“ საქართველოში მოქმედი ყველა სააგენტოს წარმომადგენლებისთვის, განვითარების დახმარების ფარგლებში ქალთა ძირითად მიმართულებასთან დაკავშირებული მათი პოლიტიკისა და მიდგომების კოორდინაციისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- უნდა მოეწყოს კონსულტაციები გენდერულ ფოკალურ პუნქტებს, პროგრამის ოფიციებსა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, რათა სათანადოდ შეფასდეს ქალთა ორგანიზაციების საჭიროებები განვითარების დახმარების და ტექნიკური დახმარების პროგრამების შედგენისას;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეოგრაფიული ბალანსი ქალებთან და გენდერთან დაკავშირებული პროექტებისთვის თანხების გამოყოფისას (ამჟამად თანხების უდიდესი ნაწილი გამოყოფილია ევროგაერთიანების დაწესებულებების მიერ კონფლიქტის ზონებში, მაშინ, როცა სხვა ადგილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებს, მაგალითად კონფლიქტის ზონების მოსაზღვრე რეგიონები, იძულებით გადაადგილებულ პირთა კომბაქტური დასახლების ადგილები, ეთნიკური უმცირესობები და მთლიანი რეგიონები უყურადღებოდ რჩება).
- ევროგაერთიანების მიერ უზრუნველყოფილი განვითარების დახმარება ერთ-

ნაირად უნდა იყოს მიმართული სამთავრობო სტრუქტურებზე, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ დაწესებულებებზე;

- აუცილებელია მიზნობრივი პროგრამების განხორციელება ქალთა და უცხოული ქვებისთვის

CSP-სთან დაკავშირებული

- პრინციპები უნდა მოიცავდეს საერთაშორისოდ შეთანხმებულ ფასებულობებს, მათ შორის გენდერულ თანასწორობას;

- გადამწყვეტი საკითხები რესურსების განაწილებისას შეიძლება მოიცავდეს სურვილს შეიქმნას შესაძლებლობები გენდერული უთანასწორობის დასაძლევად;
- CSP-ის მომზადების/შესწორებისას, გენდერულ ძირითად მიმართულებაზე პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა განაწილდეს;
- ტექნიკური მხარდაჭერა და შეფასება უნდა მოიცავდეს გენდერულ საექსპერტო კვალიფიკაციას.

მითითებული ლიტერატურა

1. ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში (UNDP, თბილისი, 2004 წ.).
2. Ibid.
3. „შესაძლებლობის მიმცემი მართვის გარემოს შეფასება, სამხრეთ კავკასიაში ქალთა უფლებების ხელშეწყობისა და განხორციელების-თვის“ (მსოფლიო ბანკი, თბილისი, 2006 წ.)
4. Kuehnast and Neehemias (2004 წ.) წყარო: „შესაძლებლობის მიმცემი მართვის გარემოს შეფასება, სამხრეთ კავკასიაში ქალთა უფლებების ხელშეწყობისა და განხორციელების-თვის“ (მსოფლიო ბანკი, თბილისი, 2006 წ.)
5. ქალები გარდამავალ პერიოდში (UNICEF, თბილისი, 2003 წ.)
6. სახელმძღვანელო „ქალები და მამაკაცები საქართველოში“ (საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი, 2003 წ.)
7. „CEDAW-ის შეფასების ინსტრუმენტი საქართველოსთვის“ (ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, /ცენტრალური ევროპის და ევრაზიის საკანონმდებლო ინიციატივა, თბილისი, 2003 წ.)
8. Kuehnast and Neehemias (2004 წ.) წყარო: „შესაძლებლობის მიმცემი მართვის გარემოს შეფასება, სამხრეთ კავკასიაში ქალთა უფლებების ხელშეწყობისა და განხორციელების-თვის“ (მსოფლიო ბანკი, თბილისი, 2006 წ.)
9. აღნიშნავთ განსხვავებას ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ქალთა თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.
10. კოლეტ სელმანი არის პროექტის მენეჯერი სოციალური და განდაცვის სექტორის პროგრამებისთვის, რაც მოიცავს პროგრამირებას გენდერული თანასწორობის სექტორის ევროკამისის დელეგაციაში, საქართველოსა და სომხეთისთვის
11. საქართველოს რესპუბლიკა (UNDP, თბილისი, 2003).
12. სახელმძღვანელო „ქალები და მამაკაცები საქართველოში“ (საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი, 2003 წ.)
13. „CEDAW-ის შეფასების ინსტრუმენტი საქართველოსთვის“ (ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, /ცენტრალური ევროპის და ევრაზიის საკანონმდებლო ინიციატივა, თბილისი, 2003 წ.).
14. Ibid.
15. სახელმძღვანელო „ქალები და მამაკაცები საქართველოში“ (საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი, 2003 წ.).
16. CDC and ORC Macro (2003). ქალების რეპროდუქციულ ასაკად ითვლება 15-44 წელი, გამოკვლევის შეფასებებისთვის და 15-49 წელი – ოფიციალური შეფასებებისთვის. წყარო: „შესაძლებლობის მიმცემი მართვის გარემოს შეფასება სამხრეთ კავკასიაში ქალთა უფლებების ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის“ (მსოფლიო ბანკი, თბილისი, 2006 წ.).

Network of the East-West Women Gender Watch Project



The Network of East-West Women - Polska/NEWW
links women across national and regional boundaries to share resources, knowledge and skills

GENDER ANALYSIS OF THE EU DEVELOPMENT POLICY

Report for Georgia

I Issue

Tbilisi
2007



Prepared by Women's Information Center

Authors

Helen Rusetsky
Alexandra Delemenchuk

Cover design by
Teona Gvinjilia

Lay-out design by
Paata Mamporia



Published in Women's Polygraphic Service

"Women's Polygraphic Service"
Add.: 40, Tsinamdsgrishvili Str.
Tbilisi, 0102, Georgia
Tel./Fax: (995 32) 942 699
E-mail: wps@ginsc.net

ISBN 978-9941-0-0167-3

Contents

Introduction	52
--------------------	----

Part 1

Political, legal and socio-economical conditions regarding women's policies	54
1.1. Women's rights in the legislation	54
1.2. State bodies established for gender equality and equality policy ..	77
1.3. Women in decision making	78
1.4. Social and economic situation of women	80

Part 2

Gender perspective in EU development aid	82
